წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 27 მარიამობისთვე 1916 წ. — № 191

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... ... სტრიქონზე—10 კ., ... ... ... გვერდზე ... ... დებულ განცხადებათათვის სტრიქონი პეტიტით—1 გვ. ... —40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—6—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

კვირას, 28 მარიამობისთვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ დაკარგულ თბილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის
**დიმიტრი (მიტუშას) ივანეს ძის**
**მიქაძის**
სულის მოსახსენიებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ სამუდამოთ დამწუხრებულნი და გულმოკლულნი მშობლები იუდითი მახარობლის ასული და ივანე როსტომის ძე მიქაძენი, შვილები მათი: მარიამი, თამარი, ნინო, ელენე, ნიკოლოზი დ გიორგი.
წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ, 1 საათ.
(2—311—1)

**სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა**
**ქართულსა და რუსულს ენაზე**
I განყოფილება — დიქცია და დეკლამაცია.
II " — პლასტიკა და გიმნასტიკა.
III " — თეატრის ისტორია.
IV " — ესტეტიკა.
V " — პრაქტიკული მეცადინეობა.
ცნობების მიღება შეიძლება ოთხ შაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.
(თ.—230—2)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
**კაფე პარიზი**
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

**ახალი მელანი**
**კოტე ონიკაშვილისა**
მელანი ასლის ასაღებადაც („კოპიროვკისთვის“) კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი
**ნიკო გ. სესიაშვილისა**
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
**კახური ღვინო**
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)
შაბათს, 27 მარიამობისთვის
ქართულ დრამატიულ მსახიობთა მიერ გაიმართება
**ქართული წარმოდგენა**
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სტუმრები შედიან საზოგადო წესით.
(1—233—1)

პირველ გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფე
**ამზადებს მოწაფეებს**
გიმნაზიის მეხუთე კლასამდე და საშუალო სასწავლებელში მისაღებად.
მისამართი: გაბაევის შესახვევი № 1.
მოლაპარაკება შეიძლება 11 საათ-ან 1 საათამდე. (2-312-1)

ექიმი
**მ. ი. ვარნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
**ა. დ. შაჰბაზიანცი**
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში
**ექიმი**
**დ. კ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი
**ვ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ე. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## თბილისი, 27 მარიამობისთვე.

**ცუდი ნიშნები.** ერთ მხრივ მიიდრიკა მთელი სახელმწიფოს ყურადღება. მას თან გაჰყვა კერძო პირთა თუ საზოგადოებათა ყურადღებაც. მთელი ენერგია ომმა შეიპყრო, ყველაფერი მისთვის გაიწირა და იწირება. არ სცალია არც მთავრობას, არც საზოგადოებას გულდასმით იზრუნოს და სათანადოთ იმუშაოს სამოქალაქო ცხოვრების სფეროში. თანდათან იზრდება მთავრობისა და საზოგადოების ყურადღების სინაკლულე ამ სფეროში, რაიცა მეტად სამწუხარო შედეგებს იძლევა. რამდენადაც მთელი ქვეყნის გულისყური ერთ წერტილს მიაჩერდა, ომსა და მის საჭიროებას, რამდენადაც ამ წერტილში შემკრივდა მთელი ქვეყნის ენერგია, იმდენად მოაკლდა იგი ყურადღება და იგი ენერგია ცხოვრების დანარჩენ დარგებს, იმდენად მოეშვა ხელმწიფება სხვაგან, სოფლად, ქალაქად. ბრძოლის ველზე სასწაული ხდება სიმტკიცის, ხოლო ბრძოლის ველის მოშორებით სუსტობს წესი და ჩნდება ნიშნები თავგასულობის, ავაზაკობის და არევდარევის. მოულოდნელი აქ არაფერია. რაც ენერგია და ყურადღება ერთ საქმეს შეემატა, ის მეორეს მოაკლდა. რამაც ერთს არგო, მან მეორესავნო. ეს გასაგებია, მაგრამ რაც გასაგებია, ის თავის თავად არც სანუგეშოა და არც მოსაწონ-გასამართლებელი. ქვეყანა გულგრილად ვერ უცქერს ძარცვას, გლეჯას, ავაზაკობას, იგი გულდამშვიდებით ვერ აიტანს საზოგადოების სასარგებლო წევრების ამოხოცვას თუ ცოცხლად გატაცებას.

ვინ არ ხედავს, რომ დასახელებული მიზეზის გარდა, დღეს ბევრი სხვა მიზეზიც იწვევს ამ ფარულსა თუ აშკარა უწესოებასა და შფოთს, რომ ცხოვრების დალაგებულობის შერყევისა და დარღვევის მიზეზი დღეს ბევრია, ერთობ ბევრი! საერთო გაჭირვება, სიმშილი, უმამაკაცობა, გადასახადი და სხვა და სხვა...

მაგრამ ჯარის ზურგს უკან წესიერების დაცვა და განმტკიცება პირველი და აუცილებელი პირობაა თვით ბრძოლის ველზე გამარჯვებისა. ვისაც ეს უკანასკნელი სწადია, ის პირველსაც უნდა ემსახურებოდეს.

ყველა სხვაზე უადრეს ეს მოვალეობა მთავრობამ უნდა შეასრულოს, ეს მისი დანიშნულებაა, მისი ფუნქცია. მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ დასახელებული მიზეზის გამო მთავრობა ამას ვერ სწვდება. იმდენი სათადარიგო ძალა არა ჰქონია, რომ ამ შემთხვევისთვის მოევლო. ამ გარემოებას მთავრობა სამწუხაროდ ანგარიშს არ უწევს იგი კვლავინდებურად ერიდება საზოგადოებრივ ძალების მოშველებას და ძველებურად მარტო თავის თავს ეყრდნობა ამ დროს კი ქვეყნად ბოროტ-მოქმედება იზრდება. თავდასხმა, ძარცვა, გლეჯა, ქალების გაუპატიურება, კაცთა კვლა, ბევრის ცოცხლად გატაცება, აი ჩვენი ცხოვრების სამწუხარო დღიური, აი მოვლენები, რომელიც ხდება სოფლად თუ შუაგულ ქალაქში, ფართე გზატკეცილზე თუ ტყეში, შუადღისას თუ ბნელ ღამეში. ანტისოციალურმა ძალებმა თავი აიშვეს, აქ მუქარის წერილებით მშვიდობიან მოქალაქეთ ფულებს სტყუებენ, იქ ოდნავ შეძლებულს ჰკლავენ, იქ კიდევ ცოცხლად იტაცებენ. არ ინდობენ არც ქვრივ-ობლებს, არც უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახებს. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. სუნთქვა გაძნელდა. ყველაფერი ეს ხდება თავისუფლად. ქუთაისი განირჩევა სხვა ქალაქებისაგან. იქ გაიტაცეს ანანოვი, იქ გაიტაცეს ერთი შეძლებული ვაჭარი ოცხელი, იქ გაიტაცეს მწუხარ მოსაგონარი პატარა ჯანელიძე, გიმნაზიის შეგირდი, იქ გაიტაცეს ერთიორი ვაჭარი ებრაელი, ამ სამი დღის წინად იქ გაიტაცეს პატივცემული ექიმი გ. გოკიელი დ ვინ ჩამოსთვლის თუ სხვა კიდევ რამდენი სხვა! და მთავრობა ვერაფერსაც ვერ აწყობს. უნაყოფოა და უშედეგო გუბერნიის ადმინისტრაციის არსებობა. არ ვიცით, იგი მოქმედობს და მაინც ვერაფერს არიგებს, თუ არც მოქმედობს და არც არაფერს აწყობს. ფაქტი კი ფაქტად რჩება. ასეთ ატმოსფერაში შეუძლებელი ხდება ყოველგვარი მშვიდობიანი საქმიანობა და მუშაობა, და ეს ისეთ დროში, როდესაც ეს ყველაზედ უფრო საჭიროა. დღეს არაჩვეულებრივი პირობებია. მარტო მთავრობა თავის ძალებით ვერაფერს გახდება. უკვე გამართული საზოგადო ხასიათის დაწესებულება ჩვენში არ არსებობს, როგორც მაგ. რუსეთში ერობაა. თუ მთავრობას სურს ეს ამუშავებული ბოროტ-მოქმედება საშოშივე ჩაახრჩოს, მან უნდა მოუწოდოს საზოგადოებრივ ძალებს და საზოგადოებასთან ერთად შეუდგეს მხნე და ენერგიულ მუშაობას. თუ მთავრობასა და საზოგადოებას შორის ნდობა და კავშირი არ დაწესდა, ეს დაწყებული ბოროტმოქმედება და უწესოება გაუთვალისწინებელ უბედურებას დაატრიალებს. საზოგადოების ნატვრაა რომ ეს ბოროტმოქმედება ჩადგეს, მთავრობის სურვილი ეს უნდა იყოს, რადგანაც ეს მისი პირდაპირი დანიშნულებაა. მთავრობასა და საზოგადოებას შორის უნდობლობისა და უთანხმოების მიზეზი ამ საქმეში აღარ არსებობს და გასაკვირია, თუ ამდენ ხანს რად არ მიმართა მთავრობამ ამ ერთად ერთ უებარ საშუალებას!

## დუმილი-დანაშაული

მთელმა ქვეყანამ შეიგნო, თუ რა მომგებიანი საქმეა გერმანელთა საკუთრება, ჭიათურის სალიკვიდაციო მამული. მთელს რუსეთში არც ერთი მსხვილი მრეწველი არ დარჩენილა, არც ერთი სერიოზული ბანკი, რომ იმ თავითვე თადარიგი არ დაეჭირა და ზრუნვა არ დაეწყო ამ მამულების ხელში ჩასაგდებად. დღეს მაინც, როდესაც გამოირკვა, რომ მთავრობა გერმანელთა ხსენებულ მამულებს პირვანდელ ფასებში ჰყიდის და არა მათ დღევანდელ ღირებულების კვალობაზედ, და რომ, მაშასადამე, ოცი, ოცდა ათი მილიონის საღირალი შეიძლება კაცმა რაღაც სამ, ოთხ მილიონ მანეთად დაინარჩუნოს, ამ მამულების შეძენის მადა მეტის-მეტად გაცხოველდა. ყოველი კონკურენტი იმის ცდაშია, რომ მაქსიმუმი ძალა მოიკრიფოს თუ ფულით, თუ გავლენიანი პირების საქმეში ჩაბმით, რომ მთავრობას ეს საქმე თავის სასარგებლოდ გადააწყვეტინოს. სხვებისთვის ეს მამული მხოლოდ იმდენად ფასობს, რამდენადაც იგი შემოსავლიანობისა და მომგებიანობის წყაროა. ქართველებისთვის კი მას სხვა მნიშვნელობაც აქვს.

საქართველოს მიწა-წყალი რომ ამა თუ იმ გზით უცხო ტომის ხალხს ხელში არ ჩაეგდო, დღეს ჩვენი სამშობლოს საზღვრებში არავინ გვეყოლებოდა ხელის შემშლელი და ციხეს შიგნით ვერც ვერავინ გაგვიტეხდა. საქართველოში მარტო ქართველები იქნებოდენ და თავისუფალი მიწა ხელშეუხლებელი ფონდი იქნებოდა გამრავლებული ქართველობისათვის. ქვეყანა აჭრელებული არ იქნებოდა და საქართველოს ეთნოგრაფიული ერთსახეობა მისი შინაგან სიმტკიცის უტყუარი საწინდარი შეიქნებოდა. ჩვენი უზანაესი ეროვნული ზრახვა-მისწრაფების გამაბათილებელი უცხო ელემენტი ჩვენს ოჯახში მაინც ვერ მოიკალათებდა. მთელი ჩვენი ქვეყანა მარტოდ-მარტო ქართული ეროვნული იდეალის სარბიელი და სანავარდო იქნებოდა და არა სხვა ჩამოთესლილ ერების იდეალის ასპარეზიც. დღეს საქართველოს დასასაკუთრებლად იბრძვის სხვა და სხვა ერის ეროვნული მოთხოვნილება: ჯერ თვით ქართველი ერის, მერე სომხისა და რუსის ხალხისა. ჩვენს სამკვიდრებელს სხვები გვეცილებიან, მას შემდეგ, რაც მათ ჩვენში ფეხი მოიკიდეს და დაბინავდენ. ტერიტორიული საკუთრების მთლიანი დაცვა ერის ბედს მრავალ საფრთხეს განუქარვებდა. იგი პირველი პირობაა ეროვნული ეთნოგრაფიული ერთსახეობის შენახვისა და, მაშასადამე, სამშობლოს ფარგალში ერთად-ერთი, მარტოდ-მარტო თვის ერის იდეალის და გულთა სწრაფვის გაბატონებისა. მოკლედ რომ ვსთქვათ, იგია უზრუნველყოფა და დაზღვევა ერის აღდგომის და აღორძინების პირველ მოხერხებულ შემთხვევის დროს.

ამ მხრივ საქართველოს დღევანდელი ვითარება სახარბიელო არ არის. დღეს ყველა ვგრძნობთ მწარე შედეგებს ჩვენი მამულების უცხოთა ხელში გადასვლისას და ჩვენს სამშობლოში უცხო ხალხის მასიურ დასახლებისას.

ყოველი შეგნებული ქართველი მწვავე ტკივილებს განიცდის, როდესაც აქ ჩამოსული სომხების გაკადნიერებული იდეოლოგია საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ ილაშქრებს, როდესაც იგი გვიბრძანებს თქვენი ეს მიცვალებული აქ დაასაფლავეთ, თქვენი ის მიცვალებული იქაო, თქვენი შოთას ძეგლი ქუთაისში ააგეთ, თბილისი ჩვენიაო!! ჯერ ეს ყვავილებია მხოლოდ. ნაყოფი მერმისს იქნება! ეს ჩვენი ეთნოგრაფიული აჭრელება, რაიცა ჩვენი ეროვნული უპატრონობისა და კატასტროფის დროს მოხდა, სომხებივით ხელზე დაიხვიეს ქართველმა სოციალდემოკრატებმაც და დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მათი ბელადი ბ-ნი ანი ენერგიულად კამათობდა, რა ავტონომიაზედ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საქართველო აღარ არსებობს, როდესაც მის აღმოსავლეთის ნაწილში უცხო ერი, სომხობა, სჭარბობსო! ასეთი განსაცდელი განუმზადა საქართველოს მომავალს იმ გარემოებამ, რომ ჩვენს მიწა-წყალს ვანიავებდით და სხვებს ვასახლებდით, ფეხს ვადგმევინებდით.

ეს მაგალითები საკმარისი უნდა იყოს, რომ ამიერიდან მაინც მზგავსი უგუნურება არ ჩავიდინოთ და ყველა ხიფათზე უფრო საბედისწერო ხიფათი ქვეყანას ავარიდოთ.

ჭიათურის სალიკვიდაციო მამული ჩვენთვის სწორედ ამ მხრივაც არის საინტერესო და ძვირფასი. თუ გნებავთ, იგი სწორედ ამ მხრივ არის უფრო მნიშვნელოვანი. ზარალსაც რომ გვიქადდეს, მაშინაც გვმართებს მისი შეძენა. ამას მოითხოვს ეროვნული პოლიტიკა და ჩვენი ქვეყნის მომავალი პერსპექტივები. მაგრამ, როდესაც ზარალის მაგიერ ამ მამულების პატრონს მილიონები მოელის, როდესაც კურთხეულად ერთიმეორეს გადაჰქდომია ეროვნული ინტერესი და ეკონომიური სარგებლიანობა, არ-ცდა ამ მამულების დასანარჩუნებლად, ნამდვილი საშვილიშვილო დანაშაულია! ასეთ პირობებში ჩვენ გვაოცებს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გაჯიუტებული უმოქმედობა!

ჩვენ არ გვესმის ასე უყურადღებოდ დატოვება მთელი ქართველი საზოგადოებისა, რომელმაც სხვა და სხვა დროსა და პირობებში გამოსთქვა ერთხმა სურვილი, რომ ქართველების მხრივ მყიდველად სწორედ საბჭო გამოსულიყო, რომელსაც ყოველგვარი უპირატესობა ამკობს სხვა მყიდველებთან შედარებით. ჩვენ არ გვესმის ასეთი უპატივცემულობა ქართველი საზოგადოებრივი აზრისა. ამას ვერავითარი მიზეზი ვერ გაამართლებს და ვერც გამოისყიდის. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყველაზედ მეტი უპირატესობა აქვს, რომ იგი ყველაზედ უკეთ შეეფერება იმ სახელმწიფოებრივ ინტერესს და მიზანს, რომელიც დაისახა რუსეთის მთავრობამ, როდესაც განიზრახა გერმანელების ამ დიდათ მნიშვნელოვანი მამულების ლიკვიდაცია. რუსეთის მთავრობას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ მამული ისეთი პატრონის ხელში გადავიდეს, რომელიც ყველაზედ უფრო სანდო იქნება სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით. ამას მოწმობს მთავრობის ის გადაწყვეტილებაც, რომ გერმანელების ეს მამულები გაიყიდება სალიკვიდაციო კომისიის მიერ დაწესებულ ფასებში და არა შეჯიბრების პრინციპის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ცხადია, მთავრობა მამულსაც იმას დაუნარჩუნებს, ვინც მის თვალში ყველაზე უფრო სანდო იქნება. და ყველაზედ სანდო კიდევ ის

იქნება, ვინც მის ხელშია და ვისაც არავითარი სერიოზული გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიან მისგან ნება დაურთველად. ამ მხრივ არც ერთი კერძო კამპანია, არც ერთი სააქციონერო საზოგადოება. არც ერთი კერძო პირი ისე სანდო არ არის. აქციებს მოგზაურობა უყვარს. დღეს რომ ერთის ხელშია, ხვალ მეორეს უტკბობს ხედვას. ერთგულება მას არ სჩვევია. რუსეთის ერთგულის ხელიდან შეიძლება რუსეთის მოსისხლე მტრის ხელში გადავიდეს. ასე იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ მამულებს დაეპატრონება რომელიმე კერძო კამპანია, ან კერძო პირი. ჭიათურის შავ ქვის მრეწველთა საბჭოს ვერც ერთი ვერ შეედრება სახელმწიფოებრივი კეთილსაიმედოების მხრივ.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო მთავრობის კანტროლის ქვეშ იმყოფება. თვით „სიეზდის“ კრებები ყოველთვის **მთავრობის კაცის** თავმჯდომარეობით სწარმოებს. კრების საგანიც სათანადო მთავრობას წინასწარ წარედგინება. არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება მთავრობის უსანქციოდ ძალაში არ შედის. ჭიათურის მრეწველობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეძლევა და ამიტომაც მთავრობის ხელი და გავლენა საგრძნობლად მოსჩანს ამ მრეწველობისა და ამ მრეწველთა საბჭოს ცხოვრებაში. ცხადია, რომ ყველა ეს გავლენა მთავრობას ხელში შერჩება „ჰელზენ-კირხენისა და კავკასიის სამადნო საზოგადოების“ ჭიათურის ორს უდიდეს სამრეწველოზე, როდესაც ეს სამრეწველოები შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საკუთრებად გადაიქცევა. ხოლო სახელმწიფოს ინტერესების დარაჯად თავის თავზე უფრო საიმედო მთავრობას რომ სხვა არავინ ეყოლება, ეს თავის თავადაც ცხადია.

ასეთია ის შეუდარებელი უპირატესობა, რომელიც საბჭოს ხელში უჭირავს და რომლითაც იგი არ სარგებლობს ჩვენი ქვეყნის სავაგლახოდ და საზარალოდ! ნეტავი ასეთი რა დაუშავებია მისთვის ქართველობას?

ჩვენ ვიცით, რომ სალიკვიდაციო კომისიის დიდი უმრავლესობა, ორი-სამი წევრის გარდა, მომხრეა იმის, რომ ეს მამული საბჭოს ხელში გადავიდეს. განა იმას ატკიცება სჭირია, რომ მთავრობის კომისია ამ შემთხვევაში უფრო სახელმწიფოს ინტერესით ხელმძღვანელობს, ვიდრე თვით საბჭოს ინტერესითა. მაგრამ შავი ქვის საბჭოს ვერც ამან გაუხსნა მოქმედების მადა!.

ჩვენს გაზეთში ცნობა იყო, რომ ჭიათურის ქართველ მრეწველებს ოფიციალი ქაღალდი გაუგზავნიათ საბჭოსთვის, სადაც თხოულობდენ „სიეზდის“ საგანგებო კრების მოწვევას ამ საკითხის გამოსარკვევად. ყველა წყვეტებაში, თავისიანი თუ სხვისიანი, როდესაც ხედავს, რომ საბჭო არაფერსაც არ აკეთებს იმ დიდი ეროვნული სიმდიდრის უკან დასაბრუნებლად, რომელიც საქართველოს შუაგულში მარხია და რომელიც საერთო უილაჯობით და უგუნურობით დაგვეკარგავს. საბჭოს მეოხებით ქართველობას ყველაზე მეტი შანსი აქვს, რომ ეს სიმდიდრე ხელში ჩაიგდოს, მაგრამ ვაგლახ ჩვენ! ქართველობა მას სამუდამოდ უნდა გამოეწიროს მხოლოდ მისთვის, რომ საბჭო არ ცდილობს, არ ზრუნავს და არ მოქმედობს! ერთგულობაც ასეთი უნდა!!

ხ. ქ.

# ავტოკეფალიის გარშემო

20 მარიამობისთვეს „პეტ. ვედ.“-ის № 170-ში მოთავსებულია ვინმე ძველი ავტოკეფალისტის წერილი, სადაც სამართლიანად ჰკიცხავს ქართველ მშიშარა სამღვდელოებას; წერილში ნათქვამია:

ყოფილი ობერ-პროკურორი ვოლჟინი ტიპიური მოხელეა: მოვიდა, დაჰხედა, აღფრთოვანდა სიძველით და საქართველოს კულტურულ ძეგლებით, გაუკვირდა საქართველოს სამღვდელოების სიღარიბე, დაჰპირდა და — წავიდა!

არ ავხირდები, ეგებ ვოლჟინი უწ. სინოდში დაილაპარაკებდა საქართველოს სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ და ან იქნებ იქვე იტყოდა, რომ საჭიროა საქართველოს თავქვედაქანებულ სამღვდელოებისთვის დახმარება და იქნებ კიდეც დაეხმარებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ზეზეურია, მთავარი საკითხი საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის საკითხია . . . . . . . . . . . . . . ძველ მდგომარეობაში იმყოფება . . . .

საკვირველია, როგორ ვერ გამოიჩინეს გამბედაობა ქართველმა ეპისკოპოსებმა ლეონიდმა, გეორგიმ, ანტონიმ, პიროსმა და პირდაპირ ვერ უთხრეს, რომ აღუპება საქართველოს ეკლესია, რომ მას სჭირდება ავტოკეფალია ან და სრული დამოუკიდებლობა კანონიურ უფლებებით.

ნუ თუ ეს ბოროტმოქმედება იქნებოდა ვისმე წინაშე და ამაზე შეიძლება მხოლოდ კაცმა გულხელდაკრეფილმა იოცნებოს, მყუდრო ინტიმიურ წრეებში ილაპარაკოს, და თუ პირდაპირ ვისაც ჯერ არს უთხრეს—ის ბოროტმოქმედებაა? ან იქნებ შეეშინდათ, რომ უკან დასწევდნენ და ჩინ-მენდლებზე მალე არ წარადგენდნენ?

მერე, სად იყო ის სამღვდელოება, რომელიც ერთ დროს საქართველოს ეკლესიის უფლება ახდილ ავტოკეფალიის დასაცველად გამოვიდა? იქნებ იმ სამღვდელოებასაც შეეშინდა, რომ ჩინ-მენდლებს და ტემლაკებს, თბილ ადგილებს და დღიურებს (суточные) ჩამოართმევდნენ. რაოდენად სამწუხაროა ყოველივე ეს! ჩვენს სამღვდელოებაში თვითეული კერძოდ და მათს რიცხვში თვით ეპისკოპოსებიც—ვეფხვები და ლომგმირები არიან, რასაკვირველია, თავის ბინაზე, შინ! მაგრამ სადაც ცოტაოდენი თავის გამოდება, დამოუკიდებელი ნების ყოფა და თავის განწირვა არის საჭირო,—იქ ენა სასას აეკვრებათ ხოლმე! დიახ, რასაკვირველია, გზა გაკვლეული რომ იყოს, თამამის და იდეურ ხალხის მიერ, მაშინ მათ წინ ვინ გაუსწრებდა? გაშლილ სუფრას ვინ დაერიდებოდა? სირცხვილისაგან სწითლდები, როცა წარმოიდგენ, თუ რაოდენად დაკნინებულან ქართველები!

ან ის მამები რას აკეთებდნენ, რომელთაც ბედად ჰხვდათ ვოლჟინს თან ჰხლებოდნენ? ნუ თუ კერძო ლაპარაკში მაინც ვერ გაბედეს და ვერ უთხრეს, რომ თუ ჰსურთ ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა შეინარჩუნოს, ეს მოხდება არა იმით, რომ სამღვდელოებას დღიური აძლიონ, ან და თბილი ადგილები მისთავაზონ, არამედ მოხდება მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიისთვის აღდგენილ იქმნება კანონიერი ავტოკეფალია თავის უფლებებით. ვერა, ვერც ერთმა იმოდენა გამბედაობა ვერ გამოიჩინა პირდაპირ ღალად ეყო, რაც საუკუნოებით ქართველ ხალხს აფრთოვანებდა და ძალას აძლევდა მტერთან საბრძოლველად და თუმც დამტვრეულ გულში, მაგრამ მაინც შეინახა მისწრაფება თავის ავტოკეფალურ ეკლესიისა!

მართალია, ვოლჟინი ისეთს პირობებში იყო ჩაყენებული, რომ გარდა ეგზარხის პლატონისა, მასთან თავისუფლად ვერავინ მივიდოდა. ასე ვთქვათ, ვოლჟინი საქარ. ეგზარხოსმა პლატონმა მონოპოლიად გამოაცხადა, რის მეოხებითაც ვერც თავად-აზნაურობამ თ-დ აფხაზის მეთაურობით და ვერც სამღვდელოებამ ეპისკოპოს ანტონის მეთაურობით ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, ე. ი. ვერ შესძლეს გულახდილად სამართლიანად მოელაპარაკათ. ერთმანეთი მხოლოდ ფორმალურად ნახეს.

ეგზარხოსი პლატონი იქნებ მტერიც იყოს ავტოკეფალიისა, მაგრამ რომელი ეგზარხოსი და სინოდის მოხელე არ ყოფილა მტერი ავტოკეფალიისა, გარდა ეხლანდელ მიტროპოლიტ პიტირიმისა, რომელსაც გულწრფელად უყვარს ტანჯულ ქართველების ეკლესია, და ქართველებიც მას გულწრფელად პატივს სცემენ?

და განა ეგზარხოსისა და სინოდის მოხელის გულისთვის ქართველმა სამღვდელოებამ გარშემო უნდა უტრიალოს მთავარ საკითხს და რაც საჭიროა პირდაპირ კი არ ალვაროს?

უბედურობა ის გახლავთ, როგორც ეგზარხი პლატონი, აგრეთვე სხვა მოხელენი და ეგზარხოსები თავიანთ გარშემო იკრეფავენ **გაიძვერებს**, რომელნიც კარიერას ეძიებენ და ასეთს საკითხს კი გვერდს უხვევენ.

ავტოკეფალიის საკითხი კი დიდი ხანია მომწიფდა. ასე, რომ სინოდის მოხელეებმაც კი იგრძნეს თავიანთი შეცდომა და ვოსტორგოვისგან წამოყენებული კითხვა: ჰქონდათ თუ არა ქართველებს ავტოკეფალია,—საბოლოოდ უარჰყვეს.

ქართველი ერი ელოდება. ქართველი ხალხი ავტოკეფალიაში თავის სულიერ და ზნეობრივ-სარწმუნოებრივს მიზანს ჰხედავს და ამ დროს სამღვდელოება დადუმებულა და ხელს არ ანძრევს. საქმეს სათავეში არავინ უდგა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს ეგზარხოსს ეთხოვოს! იგი ან რომელიმე ნაზარიევს და პოპოვებს მოგახვევთ თავს, ან და თვით დადგება სათავეში და საკითხს სასაცილოდ აიგდებს, როგორც ეს მოხდა სინოდალურ კანტორაში.

ეპ. ლეონიდი საქართველოს ეკლესიის ხსნას იმაში ჰხედავს, რომ საქართველოს ეპისკოპოსების კათედრები თავის მოგვარეებს მისთავაზოს, ეპ. გიორგი ჩინ-მენდლებით მყუდრო ცხოვრებაში, ხოლო იმერეთის სამღვდელოება ლერწამივით აქეთ-იქით იხრება: ხან ავტოკეფალიას და ხან ჯამაგირს და „სუტოჩნებს“ ებღაუჭება. ეპ. პიროსი, ნათესავი ეპ. ლეონიდისა, თავაღებული მტერია ავტოკეფალიისა და ავტოკეფალისტები არა ერთხელ აუგდია სასაცილოდ—იგი ქართველების რწმენის გაკოტრების ხსნას იმაში ჰხედავს, რომ კახეთისა და ქიზიყის სოფლების ღარიბ-ღატაკ ეკლესიებში ეპისკოპოსებმა სწირონ, სადაც წლიური შემოსავალი თვითეულს ექვს თუმანზე მეტი არ ექნება. სოფელში მოვალედ ჰხდის დაჰხვდნენ თავის ეპისკოპოსს, მიალაგონ ეკლესია, ქირით აიღონ სამოსი, მგალობელთა გუნდი, მთავარები და მეეტლეები გაისტუმრონ, რომელთა ხარჯი თითქმის მთელი წლის შემოსავალს უდრის. ხოლო მღვდელმა ღამის გასათევად ბინა უნდა მოამზადოს და თუ მღვდელს ერთი ოთახი აქვს, ეპისკოპოსს უნდა დაუთმოს და თვითონ თავის ცოლშვილით ცის ქვეშ უნდა ათიოს. სათანადო ვახშამი თუ სადილი უნდა გამართონ და შესაფერი სტუმრები და ბლაღოჩინები უნდა მოიწვიონ. პირდაპირ უბედურობაა! ხალხი კი ეკლესიაში?—მღვდლის ცოლი და ორი-სამი მოხუცი უნდა იყოს.

ცოტა არ იყოს ეპ. ანტონი უფრო შესაფერისად იქცევა, მაგრამ რა ჰქმნას ხელფეხ შებოჭვილმა ეგზ. პლატონთან.

ავტორი წერილისა კიდევ ეხება რამდენსამე სასულიერო პირს მათს მოქმედებას ჰკიცხავს, ბოლოს დაასკვნის: სულიერნო მამანო, იყვირეთ, ითხოვეთ, მოემზადეთ ავტოკეფალიისთვის, მოემზადენით აკადემიურადაც და ცხოვრებითის მხრითაც, [illegible] მასზე, ეს თქვენი [illegible], ეს არის თქვენი სახვთო [illegible]ლეობა,—„ჰრეკდეთ და განგიღებდნენ“, ხოლო გაიძვერანი და მოღალატენი, ფარისეველნი და რენეგატები მოიშორეთ თავიდან, დაუხურეთ მათ თქვენი გულის კარი!

**ძველი ავტოკეფალისტი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელმა ოფიციალმა დეპეშამ შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა: მრავალ-რიცხოვანმა ბულგარელების და გერმანელების ჯარმა აიძულა რუმინელები ტურტუკაია დაეტოვებინაო. ტურტუკაია ციხეა მდ. დუნაიზე გაშენებული. ეს სიმაგრე დარაჯად იდგა და იცავდა ამ მდინარეს. ამ ადგილის ხელში ჩაგდებით მტერს საშუალება მიეცა გადალახოს ეს მდინარე და ბრძოლის ასპარეზი რუმინეთის დედამიწაზე გადაიტანოს. ამასთანავე უეჭველია გერმანელები და ბოლგარელები მარჯვენა მხრით მდინარის ნაპირებს აჰყვებიან და დობრუჯის წინააღმდეგ ფართო იერიშებს დაიწყებენ, ხოლო მარჯვენა წვერით საშუალებას მისცემენ თავიანთ ჯარებს რუშჩუკიდან და სვიჩოკიდან დუნაი გადალახონ. თვითონ რუმინელებს კარგად ესმოდათ ქ. ტურტუკაიას მნიშვნელობა და ამიტომაც ეს სამ-ოთხი დღე, რაც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მოპირდაპირეს. რუმინელები არ მალვენ, რომ ამ სიმაგრის დაცვის დროს მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. საყურადღებოა აგრეთვე მდ. დუნაიზე მონიტორების ამოქმედება. აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც გამუდმებით ზარბაზნებს უშენენ კლაფტუს, ბეკეთუს და ისლაზუს. სწორედ ამ ადგილებში პირდაპირ შეუძლებელია მდინარის გადალახვა, თუ ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები ისევე რუმინელების ხელში იქნება. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც რუმინელებს აქედან გააძევებენ, ბულგარელები და გერმანელები ადვილად გადავლენ ამ მდინარეს. ქ. ტურტუკაიის აღების შემდეგ მდგომარეობა ცოტა არ იყოს სახიფათო შეიქმნა რუმინიისათვის, თუ რასაკვირველია, რუსეთის ჯარი დროზე არ მოასწრობს დობრუჯში შესვლას და ბულგარელების წინააღმდეგ ფართო ოპერაციის დაწყებას.

დასავლეთის ასპარეზზე ფრანგები და ინგლისელები შეტევას განაგრძობენ.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 25 აგვ. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის სამხრეთ რაიონში ჩვენებმა ჩამოაგდეს მტრის თვით-მფრინავი. მანქანა მტრის ბანაკში დაეცა. დვინსკის ჩრდილოეთით ჩვენმა მოწინავე რაზმმა გასცურა მდ. დასავლეთი დვინისა, მტერი გამოაგდო თხრილებიდგან და მცირეოდენი ნაწილი მათი პოზიციისა დაიპყრო. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს სადგურ ბარანოვიჩს და საგრძნობელი ზარალი მიაყენეს. ბრზეჟანისა და გალიჩის მიმართულებით ჩვენ სასარგებლოთ ბრძოლა გრძელდება. გენერალ შჩერბაჩევის ყოჩაღი რაზმი ფეხდაფეხ მისდევს მტერს, ბევრი გამაგრებული პოზიციაც წაართვა, მიადგა მდ. ნაროვკას (დამპალი ლიპას შემავალი წყალი) და ზოგან გაღმა გავიდა კიდეც. გალიჩის რაიონში ჩვენმა ჯარმა გალიჩ-სტრიკოვცე-ვოდნიკის რკინის გზის ხაზი დაიპყრო და მძიმე და მსუბუქ არტილერიას იერიში მიაქვს გალიჩზე, სადაც ჯერ კიდევ მტერი გამაგრებულია, თუმცა ჩვენი ცეცხლისაგან იქაურობა იწვება. 22 და 24 აგვისტოს ამ რაიონში ტყვეთ წამოვიყვანეთ 45 აფიცერი და 5600 ჯარის კაცი. მათ შორის გერმანელი 22 აფიცერია და 3000 ჯარის კაცი, თათარი 5 აფიცერი და 685 ჯარის კაცი. ნადავლის რაოდენობა ირკვევა. ტყიან კარპატებში წინსვლას განვაგრძობთ.

**კავკასიის ასპარეზი.** მდ. ეფრატის მარცხენა ნაპირზე ერზინჯანის დასავლეთით თათრებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. ოგნოტის რაიონში მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ მაინც ვერეკებით მთებში გამაგრებულ პოზიციებიდან და მივდივართ წინ. ტყვეების ჩვენებით ოგნოტის რაიონში 18—19 აგვისტოს ომის დროს თათრის ჯარმა დიდძალი ხალხი დაჰკარგა. მოკლულია თურქების 2 კორპუსის კამანდირი ფაიკ ფაშა და დაჭრილია თურქთა 12 დივიზიის უფროსი.

# ფინეთის ავტონომია

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

(დასასრული)

**I. ფინეთი როგორც სახელმწიფო; II. ფინეთის ძველი კონსტიტუცია; III, ფინეთის განახლებული კონსტიტუცია და IV. ფინეთის არსებული მდგომარეობა.**

IV

**ფინეთის არსებული მდგომარეობა** [1])

1907 წლიდან ფინეთის ცხოვრებაში, ისე როგორც საზოგადოდ მთელს იმპერიაში, დიდი ცვლილება მოხდა... ფინელთა უფლებათა აღდგენას და, საზოგადოდ, მოთხოვნილებათა უმაღლესად წარდგენას წერტილი დაესვა 1906 წლის სეიმო წესდების მიღებით. შემდეგ წელს, როდესაც წარდგენილ იქნა ახალ ფორმის მართველობის წესდების პროექტი, როგორც იცით, სიჩუმე ჩამოვარდა, არც ჰო, არც არა... 1908 წლიდან კი სიჩუმე მოთხოვნილებათა წარდგენით დაირღვა, მაგრამ ეს მოთხოვნანი ფინელთაგან კი არ იყო, არამედ რუსეთის მართველთაგან!.. რუსეთის სამინისტროს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბ. სტოლიპინმა „ყურადღება მიაქცია“ ფინელთა „გალაღებას“ და „გათამამებას“... იგი შეეცადა „მჭიდროდ დაკავშირებას“ ფინეთის დიდ სამთავროისა იმპერიასთან, რაც გამოიხატებოდა რუსეთის იმპერიის წეს-რიგის და კანონების შემოღებაში ფინეთის სამთავროში... საკითხი მეტად რთული იყო და ძნელი განსახორციელებელი, მაგრამ ბ. სტოლიპინი არ შედრკა და დასახულ მიზნის მისაღწევად მტკიცედ შეუდგა მოქმედებას. მის მეოხებით გავიდა სახელმწიფო დუმაში, სახ. საბჭოში და უმაღლესად დამტკიცებულ იქნა **კანონი 17 (30 თიბათვის 1910 წლისა, რომელიც განმარტავს ფინეთის შესახებ კანონთა გამოცემის და საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დადგენილებათა წესრიგს.**

ამ კანონმდებლობამ საძირკველი ჩაუყარა ყველა იმ „გამაერთიანებელ“ და „დამაკავშირებელ“ ცვლილებებს, რომელნიც გატარებულ იქმნენ დღევანდლამდის ფინეთის დიდ-სამთავროში. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რუსეთის საკანონმდებლო ორგანოები შეეხენ ფინეთის კანონმდებლობას!.. თუ რა ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ საშვალებით მოქმედებას, ეს მკითხველისთვის მიგვინდვია; ჩვენ კი შევეხებით მხოლოდ მის პრაქტიკულ მნიშვნელობას და შედეგებს.

ეს ზემო დასახელებული 1910 წლის კანონმდებლობა ეხება ქვემოჩამოთვლილ შემდეგ 19 საკითხს:

1) მონაწილეობა ფინეთისა სახელმწიფო ხარჯებში და სხ.

2) მოხდა სამხედრო ბეგრისა და სხვა ბეგარათა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სამხედრო საჭიროებებთან...

3) რუს ქვეშევრდომთა უფლებანი ფინეთში;

4) სახელმწიფო ენის ხმარება ფინეთში;

5) ძირითადი სათავე (основныя начала) ფინეთის მართველობისა;

6) უფლებანი და მოვალეობანი საიმპერატორო დაწესებულებათა და მართველთა ფინეთში;

7) აღსრულება მსჯავრისა რუსულ სამოსამართლო ადგილთა და სხ.;

8) დადგენილება გამორიცხვათა იმ კანონებისა, რომელნიც შეეხებიან ფინეთის სისხლის სამართალს და სამოსამართლოთა წარმოებასა;

9) სკოლის საკითხი;

10) საზოგადო კრებები, საზოგადოებანი და კავშირები;

11) უფლებანი რუსთა და უცხოელთა საზოგადოებებისა და კომპანიებისა;

12) ბეჭდვითი საქმის შესახები კანონმდებლობა;

13) სადამოჟნო ნაწილი და სადამოჟნო ტარიფები;

14) სავაჭრო ნიშანთა და სალიტერატურო საკუთრებათა დაცვა;

15) ფულის სისტემა;

16) ფოსტა, ტელეგრაფი და სხ.;

17) რკინის გზები;

18) ზღვაოსნობა, ლოცმანთა და მაიაკთა ნაწილები და

19) უცხოელთა უფლებანი ფინეთში.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს კანონმდებლობა მეტად დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებს ეხება. **ყველა ამ საკითხებში აერთვა უფლებები ფინეთის საკანონმდებლო დაწესებულებას, სეიმს და გადაეცა იმპერიის საკანონმდებლო ორგანოებს.** ეს ზომა, ბ. სტოლიპინის აზრით, დროებითი ხასიათისა იყო, საჭირო იქნებოდა მომავალში **გაფართოება**, რათა მიზანი ფინეთის იმპერიასთან მჭიდროდ დაკავშირებისა“ სავსებით მიღწეული ყოფილიყო...

ყველა ჩამოთვლილ მუხლების მიხედვით, გამოცემულ იქმნა განკარგულებები, რომლებითაც ძველადვე არსებული და ფინეთის კანონმდებლობის მიერ შექმნილი წესი ირღვეოდა და მის მაგიერ მყარდებოდა სრულიად ახალი და შეუგუებელი... მკითხველი ადვილად წარმოიდგენ ამ გარდამავალ ხანას, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა და რომელიც მხოლოდ დასაწყისია... მას შემდეგ შეიქმნა გაუგებრობა... კაცმა არ იცოდა და არც ეხლა იცის, თუ **სად თავდება ფინეთის სეიმის საკანონმდებლო უფლებანი და სად იწყება იმპერიის კანონმდებელ ორგანოთა?!...** ამ საკითხის შესახებ ბ. სტოლიპინი ბრძანებდა ასე: ყველა ის საკითხები, რომელთაც „პოლიტიკური და პრინციპიალი“ მნიშვნელობა აქვთ—უნდა განხილულ და გადაწყვეტილ იქნას პეტროგრადს, ხოლო დანარჩენი, რომელნიც მხოლოდ „ასე რო ვსთქვათ, პროვინციალურ მნიშვნელობისაა“—გადაეცემა სეიმს.

როგორც მკითხველიც ხედავს, ბ. სტოლიპინის განმარტება მეტად საზოგადო და ბუნდოვანი განმარტებაა!.. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა არა შეცდომით, საქმის კეთილწარმატებისთვის მომავალში... მაგრამ ცოტა არ იყოს, დაწყებული საქმე ვერც ისეთის სიჩქარით მიდის, როგორც ეს სასურველი იყო მათ დამწყებთათვის... სინამდვილემ სხვანაირი გზა უჩვენა... ბ. სტოლიპინისთვის არც ისე ადვილი იყო სიტყვის საქმედ ქცევა, როგორც ეს მაშინ ეგონათ. ახალ, „გამაერთიანებელ“ კანონთა ცხოვრებაში გატარება მეტად გასჭირდა, რადგან ფინეთის ერი, რომელიც ასე მტკიცედ სდგას საკუთარ კანონზე და აქვს მჭიდრო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, დიდი წინააღმდეგობითი ძალის მქონეა... ერი, რომელსაც ესმოდენ ძლიერი ეროვნული კულტურა და თვით-დაცვის შეგნება აქვს, მეტად ძნელი დასამორჩილებელია... სინამდვილეც ამას გვეუბნება; ყველა ის ზომები, რომელიც მიღებულ იქნენ 1910 წლიდან, მართალია ნაწილ-ნაწილ განხორციელდა კიდეც, მაგრამ იმდენად სუსტად და უსისტემოდ, რომ კაცი ვერ იტყვის დაბეჯითებით, რომელიმე მათგანი დაკანონებულია ფინეთში თუ არა?!. რაც რუსეთიდან შემოიტანეს, ის ფინეთის სეიმმა და ერმა უარჰყო. ეს უკანასკნელნი არას სცნობენ იმპერიის საკანონმდებლო ორგანოებს და ამიტომაც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე რუსეთის მთავრობა დიდ დაბრკოლებებს ხვდება. მაგალითად: 1910 წლის კანონის მიხედვით რუსეთის მკვიდრნი, რომელნიც ფინეთში სცხოვრობენ, გათანასწორებულნი არიან მრავალ უფლებებში ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთან, მაგრამ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ არის!.. შეუძლებელი შეიქნა მისი განხორციელება! არის ისეთი დაწესებულებანი, სადაც რუსნი მოხელენი და, საზოგადოთ, მოსამსახურენი მუდამ და-ძიებაში არიან იმ გამათანასწორებელ უფლებებისა, რომელნიც, მათის აზრით, მინიჭებული აქვთ 1910 წლის კანონის მიხედვით... მაგრა ვერას ხდებიან.. ასევეა სხვა საკითხებშიც, რომელნიც შეეხებიან ზემოდასახელებულ 19 მუხლის შინაარს.. მაგრამ, ამ ახალმა ცვლილებამ ერთი დიდი ნაბიჯი კი გადასდგა „გამაერთიანებელ“ პოლიტიკის სასარგებლოდ: 1910 წლის კანონებს და საზოგადოდ ბ. სტოლიპინის მოღვაწეობას ის დიდი შედეგი მოჰყვა, რომ **სენატის საადმინისტრაციო დეპარტამენტი**, რომელიც როგორც ადრე მოგახსენეთ, წარმოადგენს სამინისტროს მსგავს დაწესებულებას, **მთლად რუსთა ხელშია**, 10 წევრიდან 8 რუსია და 2-იც „კეთილსაიმედო ფინი“!.. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ხელუხლებელია სენატის **სამოსამართლო დეპარტამენტი**, სადაც საქმის წარმოება და შემადგენლობა ძველებურია.

როგორც მკითხველიც ხედავს ტყუილად და უსარგებლოდ არ ჩაუვლია „გამაერთიანებელ“ პოლიტიკის მესვეურთა მოღვაწეობას!. გავიდა ხანი და ერთი იერიშიც:—ფინეთის სეიმს წინადადება მიეცა ამოერჩია თავის წევრთა შორის რამდენიმე დეპუტატი მთელ ფინეთის ერის სახელით და გაუგზავნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში! ასეთი წინადადება ორჯელ იქნა მიცემული, მაგრამ ორივეჯერ უარით უპასუხა სეიმმა და, როგორც ხედავთ, სეიმი ჯერ კიდევ ძალაშია და მალე ახალიც შეიკრიბება. ამ უკანასკნელ იერიშს თავისი საყურადღებო ისტორია აქვს, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ასეთია ამ ორნაირ, სხვა და სხვა გზით გამოცემულ კანონთა ბრძოლის ჯერ დაუსრულებელი სურათი, რომელიც შეიქნა ფინეთის დიდ სამთავროში 1910 წლის 17 (30) თიბათვის კანონთა წყალობით!

აქედან მკითხველი ხედავს, რომ აღმასრულებელი ორგანო სენატი (საადმინისტრაციო) და კანონმდებელი სეიმი ვერ არიან სასურველ თანხმობითი განწყობილებაში, რაც, რასაკვირველია, მეტად არა-ნორმალური მოვლენაა! მკითხველი ალბად იმასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ, ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, რამდენადაც სეიმი გახალხოსანდა, გადემოკრატდა და ერის ნამდვილი სურვილის გამომხატველი შეიქნა, იმდენად აღმასრულებელი ორგანო სენატი ფინეთის ერის ნების ყოფას დაშორდა და კიდეც გაეყარა!.. დიახ, დღეს თუ ფინეთის სეიმში დიდებულნი გვამნი არ არიან, მსგავსად **სვინჰუვუდების** და მათ შორის გამოჩენილნი ქალნი დეპუტატი—**ლუსინა ჰაგმანი, თეკლე ჰულტინი, ვერა ელტი** და სხვანი,[2]) ამავე დროს სენატში აღარ არიან ის დიდებულნი მამულიშვილნი, რომლებითაც ფინეთი ამაყობდა... აღარ არიან **მეხელინები, დანიელსონები**, და მსგავსი მათნი, რომელთა მოგონება მხოლოდ სანეტარო დროთა მოგონებად დარჩა!...

**დათიკო ჩიქოვანი.**

ჰელსინკი 1912 წ.
12/25 მარიამობისთვე.

[1]) იხილეთ ლ. მეხელინის წიგნი: Критическій разборъ закона 17 (30) іюня 1910 года. Гельсингфорсъ, 1910 г.

[2]) ახალ სეიმში 24 დეპუტატი ქალია.

**ბალკანეთის ასპარეზი.** გერმანელთა და ბულგარელთა უმეტესმა ლაშქარმა იძულებულ ჰყო რუმინელთა ჯარი, ტურტუკაი დაეტოვებინა.

ცნობა ჩვენ მოკავშირეთა მოქმედებისა გასულ კვირაში. საფრანგეთის ასპარეზი. სომმის მდინარეზე ფრანგთა ჯარმა ენერგიული იერიში მიიტანა მტერზე მორეპიდან შილიამდე. ამ მდინარის ჩრდილოეთით აღებულ იქმნა პირველი ხაზი გერმანელთა სანგრების და დაპყრობილ იქმნა ლეფორესტი, ფერმა ოპიტელი და სომზე მდებარე კლერი. ამ იერიშის დროს ფრანგებს დარჩათ მტრის 12 ზარბაზანი 50 ტყვიის მფრქვეველი და 5200 ტყვე. ამ გვარათ რაც მდ. სომმაზე შეტევა დაიწყო, ინგლისელ და ფრანგთა ჯარმა 40,000-მდე ტყვეთ წამოიყვანა. მაასის მარჯვენა ნაპირას ფრანგებმა გააძლიერეს შეტევა ფლერის აღმოსავლეთით, დუომინის წინ, მოიგერიეს ყველა კონტრიერიშები და 500-ზე მეტი ჯანსაღი ტყვე წაიყვანეს.

**ინგლისის ასპარეზი.** ინგლისის ჯარმა წინ წაიწია ტიეპვალის რაიონში მოკეს ფერმა და დელვილის ტყემდე. გერმანელ გვარდიელთა დივიზიის შეტევა დიდის გამარჯვებით მოგერიებულ იქმნა. აქ წაყვანილ იქმნა ტყვედ 500 კაცი. 1 ივლისიდან ინგლისის ჯარს ტყვეთ წაუყვანია სულ 222 აფიცერი და 15.023 ჯარისკაცი, თანაც წაულიათ 86 ზარბაზანი და 160 ტყვიისმფრქვეველი.

**გერმანეთის აღმოსავლეთის აფრიკა.** ინგლისის ჯარმა შემდეგი ადგილები დაიჭირა: დუკავუ, კიდოტო, კალოსსუ და მროგორო. შეტევა გრძელდება. ინგლისის ფლოტმა დარ-ერ სალანის სიმაგრეზე იერიში მოიტანა.

**იტალიის ასპარეზი.** იტალიელებმა დი-ფასსოს ალპებში კორიულის მთა დაიჭირეს (2495 მეტრი) და იქ გამაგრდნენ. მტერი დიდს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ დამარცხდა და განიდევნა. ალბანეთში იტალიელებმა ტეპელენი და ქუთუ დაიპყრეს და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ადგილებიც. შემდეგ კი მდ. ბოიუსის მარჯვენა ნაპირას გადავიდნენ.

**ლონდონი,** 25 აგვისტო. ცნობა საფრანგეთში მყოფ ინგლისის მთავარ სადგურისა. ქენშანთან სასტიკი ბრძოლაა; აქ ჩვენ კიდევ 50 კაცი წავიყვანეთ ტყვეთ. 21 აგვისტომდე ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთამ, ზოგი წაართვა და ზოგიც გაუნადგურა მტერს 19 ტყვიისმფრქვეველი. მტრის დიდძალი რაზმი, კურსელეტტიდან გამოსული, ჩვენი არტილერიის ცეცხლს მოხვდა და გაფანტულ იქმნა მტრის დიდძალ მუშების გროვასთან ერთად. ტიეპვალის მხარეში არტილერია ამოძრავდა. არრასის ჩრდილოეთით ლაბასსე, რიშელ და ბურლავუს არხს შუა მტრის ხაზს სროლა ავუტეხეთ. ჰაერში მფრინავმა ჩვენმა ერთმა პატრულმა 4 მანქანისაგან შემდგარმა გააქცია მტრის 13 თვითმფრინავი. ერთი ჩვენი მანქანა აღარ დაბრუნებულა.

**ბუქარესტი,** 24 აგვისტო. ოფიციალი, 23 აგვისტოსი. ჩრდილო დასავლეთის ასპარეზზე რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება მოხდა. როდესაც ჯარი ქორონსცის მთას იჭერდა და კუზულმოს ველით მიემართებოდა 16 ყუთი თოფის წამლისა ხელთ იგდეს. შიგ „დუმ-დუმის“ ტყვია აღმოჩნდა. სამხრეთის ასპარეზზე ტურტუკეისთან ყველა იერიში მოგერიებულ იქმნა ბრძოლის სისასტიკე ნელდება; მტერი ეტყობა, დაღლილია. მტერმა სროლა აუტეხა ისლაზს, ბეკეტს, კალაფატს და გრუიას. პერსინოია და ბულგარეთის სანაპიროს შუა მტრის მონიტორები ცდილობდნენ არხიდან გამოსვლას, მაგრამ ჩვენმა ბატარეამ იძულებულჰყო უკან დაბრუნებულიყო და კუნძულზე მიმალულიყო. ჰაერში რამდენიმე შეტაკება მოხდა. ჰაეროპლანები და დირიჟაბლები ბუქარესტს ყუმბარებს უშენდნენ. დაზიანებულია 4 სახლი, დაჭრილია ორი მამაკაცი და ერთი ქალი. აგრეთვე ყუმბარები დაუშინეს პიატრანიანცს, სადაც ერთი მოხუცი ქალია დაჭრილი, პლოეშტს, კონსტანცს და ბეკეტს, სადაც რამოდენიმე შენობა დაზიანდა.

**ბუქარესტი,** 24 აგვ. დილის ოფიციალი. ჩრდილოეთისა და ჩრდილოდასავლეთის ასპარეზზე დავიჭირეთ დაბა დიტრო, დვორდიოტრო და ორშოვა, სადაც 7 ზარბაზანი წავართვით მტერს, რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი, პროჟექტორი და დიდძალი სურსათის საწყობები. სამხრეთის ასპარეზზე მტერს დიდძალი ჯარი მოუყვანია და განსაკუთრებით ბევრი მძიმე არტილერიის იარაღი. გაცხარებით უტევენ ტურტუკაის, რომლის გარნიზონიც თავგამოდებით, განუწყვეტლივ პასუხს აძლევს; ორივე მხარის ზარალი დიდია.

**პარიზი,** 25 აგვ. ოფიციალი. დილის 7 საათზე სომის ჩრდილოეთით გერმანელები დიდად შეეცადნენ, რომ ფრანგები ფერმა ოპიტალოდან გამოერეკათ, მაგრამ ჩვენი ტყვიის მფრქვეველები პირდაპირ სთიბავდა მათ ლაშქარს და ღამის 4 საათის შემდეგ აღარა ცდილან იერიში განეახლებინათ. ასპარეზის სხვა ადგილებში მნიშვნელოვანი არა მომხდარა რა. სომმას ჩრდილოეთით გერმანელების დიდძალი ჯარი სოფ. ორნიის მიადგა და შეეცადა ფრანგთა ახალ პოზიციებზე ბელლუა-ან-სანტერის სამხრეთ-დასავლეთით და ბარლეს სამხრეთით იერიშები მოეტანა, მაგრამ ყველა კონტრ-იერიშებით მოგერიებულ იქმნა საფარი ცეცხლით და შეძლება არ მივეცით გერმანელებს ჩვენ ხაზს მოახლოვებოდნენ და დიდათ დავაზარალეთ. ჯერ აქამომდე სომმას სამხრეთით გამოირკვა, რომ 400 ტყვე არის წამოყვანილი. მიღებულ ცნობების თანახმად ის გერმანელები, რომლებიც გუშინ ფრანგთა ქვეითა ლაშქარმა შოლის აღმოსავლეთით მოიგერია, საქსონელ დივიზიას ეკუთვნის, რომელიც სასწრაფოთ ყოფილა მდ. ენზე გადმოსროლილი. მაასის მარჯვენა ნაპირზე, საღამო ჟამს ფრანგებმა დიდი ხნიჰ საარტილერიო მზადების შემდეგ იერიში მოიტანეს გერმანელთა სიმაგრეზე ბო-შაპიტრის ტყესთან და აიღეს პირველი ხაზი მტრის სანგრებისა დაახლოვებით 1500 მეტრის სივრცისა, თან ტყვედ წამოვიყვანეთ 240 კაცი და 10 ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ალაგას არავითარი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ჰინდენბურგი.

ფალკენჰაიმის გადაყენებას და ჰინდენბურგის დანიშვნას გერმანიის მთავარი შტაბის უფროსად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ინგლისში გაზეთები საგანგებო წერილებს უძღვნიან ამ მოვლენას. კონსერვატიული გაზეთი „ტაიმსი“ ამბობს: გენერალმა ფალკენჰაიმმა ვერაფერი გააწყო ვერდენთან და ახლა დასჯილ იქმნა ამისთვის. ამას გარდა რუმინეთის გამოსვლამ სასიკვდილო ჭრილობა დააჩნია გერმანეთს. გერმანელები გამოფხიზლდნენ და დაინახეს რა საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჰინდენბურგი დაჟინებით ითხოვდა ჯარის მოშველებას რუსეთის ფრონტზე, მაგრამ მთავარი შტაბი საუკეთესო რაზმებს ვერდენის იერიშებს ანდომებდა. ცნობილია, რომ ჰინდენბურგი აღმოსავლეთ ასპარეზს აძლევს უპირატესობას: ის იმ პარტიას ეკუთვნის, რომელიც მთავარ მტრად რუსეთს სთვლის და დასავლეთის ფრონტზე მოგერიებითი ბრძოლის მომხრეა. მაგრამ ჰინდენბურგმა გვიან მიიღო უმაღლესი მხედართმთავრის ადგილი. სეზონი უკვე ხელს არ უწყობს აქტიურ მოქმედებისას რუსეთის წინააღმდეგ. ამას გარდა ახლა რუმინეთი გამოსულია, გენერალ ბრუსილოვმაც კარგა დიდი ნაჭერი ჩამოათალა ავსტრიის ლაშქარს.

სხვა გაზეთებიც იმ აზრის არიან, რომ ჰინდენბურგის დანიშვნას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ფაქტით დაგმობილია ვერდენისა და იტალიის ოპერაცია და აღიარებულია მათი უაზრობა. ამასთან ერთად სჩანს, რომ გერმანიაში დიდი შიშია გამეფებული. ოფიციალი წრეები თავისი სურვილით არ აირჩევდნენ ჰინდენბურგს: უეჭველია ვილჰელმმა ფალკენჰაიმი გადააყენა და მისი ადგილი ჰინდენბურგს ჩააბარა, მიტომ რომ ამას ხალხი ითხოვდა. გერმანელ გენერლებს შორის მხოლოდ ერთად-ერთს ჰინდენბურგს შერჩა უძლეველი სარდლის შარავანდედი. რასაკვირველია ჰინდენბურგი იზამს ყველაფერს, რაც კი შეუძლია გამობრძმედილ, მამაც სალდათს, მაგრამ გერმანიის ჯარის დამარცხება მაინც აუცილებელია და ახალ მთავარსარდალსაც ის ბედი ელის, რაც სხვებს ეწვია.

### დობრუჯაში.

დობრუჯის სამხრეთი ნაწილი რუმინეთმა სამიოდე წლის წინად ჩამოაცალა ბულგარეთს უკანასკნელი ბალკანეთის ომის შემდეგ. ეს კუთხე ბულგარელებით და ოსმალებითაა დასახლებული. უკანასკნელი ცნობების მიხედვით აქ თურმე აჯანყება მზადდებოდა რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ. ზოგიერთ სოფელში მიწაში ჩაფლული თოფები და წამალი აღმოაჩინეს, რომელიც ბულგარეთიდან შემოუზიდავთ. აღმოჩენილ იარაღს მთავრობამ კონფისკაცია უყო. ამას გარდა მცხოვრებლებს ჩამოერთვა ხანჯლები. ბევრი საეჭვო პირი დაპატიმრებულია.

# უკანასკნელი დეპეშები

„რ. სლ.“ იტყობინება: იზედ-ფაშას ჰხურდა გაერღვია სამხრეთის ფრონტი, მაგრამ ცდა ამაოდ დაურჩა, მიუხედავად იმისა, რომ დიარბექირიდან მაშველი ჯარიც მოსდიოდა.

—

უკანასკნელ დროს ინგლისზე ცეპელინების თავდასხმის გამო, გერმანეთის მთავრობა იტყობინება, რომ ყველა ცეპელინები უკან მშვიდობიანად დაბრუნდნენო.

# ახალი ამბავი

**ერობის საკითხი.** როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული, უკვე შემდგარია კავკასიაში ერობის შემოღების პროექტი. ეხლა როგორც გავიგეთ ეს დებულება 131 მუხლისაგან არის შემდგარი. დებულების ძირითადი ხასიათი აღებულია 1890 წლის ერობის დებულებისაგან, ზოგიერთ გამონაკლისით დამატებით და ცვლილებით. ამ პროექტით ორ ხარისხიანი—სამაზრო და საგუბერნიო, ერობაა განზრახული. ცენზი საგრძნობლად დაწეულია და ფართე მონაწილეობა აქვთ დათმობილი არჩევნებში სავაჭრო-სამრეწველო ცენზს. თბილისი და ბაქო გამოყოფილია ცალკე საერობო ერთეულად, რომელიც შედის საგუბერნიო ერობაში. პროექტით განზრახულია კავშირი საერობო ერთეულთა და სხვ. ამ პროექტის შედგენის დროს მეფის ნაცვლის კანცელარიას უხელმძღვანელია, როგორც იმ უხვ მასალით, რომელიც მის განკარგულებაში ყოფილა, ისე იმ უმრავლესობისა და უმცირესობის აზრით, რომელიც მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით შემდგარ კრებაზე იყო გამოთქმული, აგრეთვე იმ კრიტიკითაც, რომელიც 1890 წლის საერობო დაწესებულების დებულებას თან დაჰყვა. ყველა მასალა უკვე დასტამბულია. დამზადებულია დასაბეჭდათ აგრეთვე სექციების სხდომების ოქმები, გარდა მეორე სექციის ოქმისა, რომელიც ჯერ არ წარმოუდგენია ამ სექციას. პეტროგრადში ეს დებულება გაიგზავნება იმ დროს შეფარდებით, რომ ამ შემოდგომასვე იყოს განხილული ეს დებულება სახელმწიფო სათათბიროში.

✦ **თავშესაფარი აფხაზთათვის.** ქართულ საქვ. მოქმედო საზოგადოების საგანგებო კრებამ, რომელიც გუშინ ნაშუადღევს შესდგა, დაადგინა გახსნას სოხუმში თავშესაფარი დაზარალებულ აფხაზთათვის. თავშესაფარი 40 სულზეა ნაანგარიშევი.

✦ **გორის მაზრის აგრონომი** თ-დი ფალავანდიშვილი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას პურის მოსავლის შესახებ გორის მაზრაში აუწყებს, რომ წელს ნაკლები მოსავალი მოსულა. ზოგან დღიურზე 2 კოდი მოსავალი ყოფილა. რაც მოვიდა უმეტესი ნაწილი ბალახის თესლია თურმე, სიმინდს ურწყავ ალაგებში ტარო არა აქვს, ბევრი საქონელს აძოვებს, რადგანაც ჩალათაც არ ვარგა. სათესლე პურში ეხლავე 3 მანათს იძლევიან, ხოლო ქერში 2 მ. 40 კ. სცდილობენ შარშანდელ სიმინდის შეძენას, მაგრამ ვისაც კი წარსული წლის სიმინდი აქვს, ჯერ არა ჰყიდის. არც ხვნა დაწყებულა ჯერ, რადგან 1 და 2 ხარისხიანთა გაწვევის მოლოდინში იძახიან: რათ მოვხნათ, ან რათ ვთესოთ როცა მომკალი არ ეყოლებაო.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის** მზრუნველმა აცნობა თელავის მაზრის თ-დ აზნაურთა წინამძღოლს, რომ თელავის ვაჟთა პროგიმნაზიას მეშვიდე კლასი მხოლოდ მაშინ მოემატება, როცა როგორც თავად-აზნაურობა, ისე ქალაქი წარადგენენ კრების ოქმებს დამატებით ხარჯების გაღების შესახებ. სწავლა როგორც ვიცით ამ დღეებში დაიწყება და ამნაირად წელს მეშვიდე კლასი ვეღარ მოემატება.

✦ **სათესლე მასალის ძიებაში.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოსდის თხოვნა სათესლე მასალის მიწვდის შესახებ. სხვათა შორის ს. ნავდარაანთკავის მცხოვრებლებმაც აღძრეს შუამდგომლობა სათესლე მასალის მიწვდის შესახებ. საზოგადოების საბჭომ დაადგინა ეცნობოს, რომ ამ თხოვნით მიმართონ ჯერ-ჯერობით, ვიდრე საზოგადოება რამეს ილონებს, სავურამოს საკრედიტო ამხანაგობას.

✦ **გაემგზავრა** ბათომის ოლქში ექიმი გრ. მუხ ძე, რომელსაც ქართულ საქვ. მოქმ. საზოგადოების მხრივ დავალებული აქვს ჩურუქსუს საავადმყოფოს საქმეების გაცნობა და შესწავლა.

✦ **გაემგზავრა** კახეთს, გამგე კახეთის რკინის გზისა თ-დი გ. ჰ. თუმანიშვილი.

✦ **კომისიის გამგზავრება.** დღეს კახეთის გზის დასათვალიერებლად მიემგზავრება საგანგებო კომისია მოძრაობის უფროსის ინჟ. ა. ს. წივწივაძის მეთაურობით.

✦ **დაბრუნდა თბილისს** აბასთუმანიდან სახელმწიფო ქონებათა გამგე ვ. ი. კორვინ პავლოვსკი.

✦ **ატენის მამულის დათვალიერება.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საგანგებო კომისიას მიანდო ატენის მამულის დათვალიერება. კომისიაში შედიან პ. გ. მელია, ეგნ. ო. იოსელიანი, ა. ბ. გრიგოლია, ვ. ი. რცხილაძე და ლ. ნ. დიასამიძე. კომისია ამ დღეებში გაემგზავრება ატენში.

✦ **ყურძნის მოსავალი.** თანახმად თბ. გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობებისა ამ ბოლო დროს მოსულმა ავდრებმა ყურძნის მტევნები დახეთქა და გააფუჭა. წელს რთველს კახელი მემამულენი შედარებით წინა წლებთან ერთი თვით ადრე იწყებენ, ე. ი. 10 ენკენისთვიდან.

✦ **ღვინის გამოსაკვლევი იარაღი.** მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტმა დაუგზავნა რაიონის აგენტებს ახალი იარაღი, რომლითაც უნდა გამოიკვლიონ ყურძნის წვენის სიმჟავე და სიტკბო.

✦ **ხოლერა.** 25 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 74 სული. ახლად მოიყვანეს 4, საეჭვო იყო 13. გარდაიცვალა 6. 26 მარიამობისთვეს ხოლერიანი ავადმყოფი იყო 73, საეჭვო 15.

✦ **ჩრდილო ამერიკასთან ვაჭრობის** განმტკიცების შესახებ შემდგარ თათბირში, რომელიც თბ. ვაჭართა მამასახლისი მართავს, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად აირჩია თ-დი ლ. ნ. დიასამიძე.

✦ **წერა-კითხვის** საზოგადოების გამგეობის მორიგი კრება 30 მარიამობისთვესაა დანიშნული.

✦ **დანიშვნა.** ირკუტსკის სასულიერო სემინარიის მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელი ი. ს. წივწივაძე გადმოყვანილ იქმნა სტავროპოლის სემინარიაში იმავე საგნების მასწავლებლად.

✦ **რექტორი სასულიერო სემინარიისა,** როგორც თვითონ დეპეშით იტყობინება, ინიშნება კრონშტატის ეპისკოპოსად.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე.** სახალხო განათლების მინისტრის ნებადართვით საისტორიო საფილოლოგო ფაკულტეტზე მომავალ სამოსწავლო წელს ლექციებს წაიკითხავენ ახლად მოწვეულნი: პრივ. დოცენტი კიევის უნივერსიტეტისა ა. ბ. სელიხანოვიჩი (ისტორია ახალ ფილოსოფიისა და საყოველთაო ლიტერატურა) გარდა ამისა სურვილი განაცხადეს დასავლეთ ევროპის ისტორიის (რომანულ და გერმანულ) კითხვისა პრივ. დოც. მოსკოვის უნივერსიტეტისა ი. ა. ფოგტმა და პრივ. დოც. ამავე უნივერსიტეტისამ ბ. ი. იარხომ.

✦ **საფუთო გადასახადი** მიღებულ და გადატანილ საქონელზე ქ. თბილისში როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან ამ მოკლე ხანში გადაწყდება ქალაქის სასარგებლოდო.

✦ **დეპუტაცია.** ქართვ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თვის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: მიანდოს საგანგებო დეპუტაციას ს. იყალთოში წასვლა თ-დ დ. ი. მაყაშვილთან მადლობის გამოსაცხადებლად, 10 დესეტინა მიწის შეწირვის გამო და თან ამ მამულის გადმოცემის საქმე საზოგადოებაზე საბოლოოდ მოაწესრიგოს. დეპუტატებად არჩეულ იქნენ ვ. ი. რცხილაძე და ს. ნ. ყაზახაშვილი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 27 მარიამობისთვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

✦ **თავშესაფარის საკითხი.** საგანგებო კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ეგზარხოსის მიერ ბორჩალოს მაზრის ს. ურუთში თავშესაფარის დაარსების საკითხი ომში დაზარალებულთა შვილებისათვის და დაუძლურებულ სასულიერო პირთათვის უკვე დაიწყო მუშაობა. თავშესაფრამდე რკინის გზა გაჰყავთ სად. აზაგა სარალიდან (ყარსის გზა.)

✦ **მოხელეთა კოოპერატივში** ამ ჟამად 300 წევრამდეა ჩაწერილი. წევრთა საზოგადო კრება 4 ენკენისთვესაა დანიშნული.

✦ **ჯარიმა.** თბ. გუბერნატორმა მაგარ სასმელების ნებადაურთველად გაყიდვისათვის დააჯარიმა დ. საგანელიძე 1000 მანეთით (ან 2 თვე ციხე), ა. არუთინოვი 300 მან. (ან 1 თვე ციხე) ნიხრის დარღვევისათვის, გ. გართანოვი, ა. მიხაილიანცი, გ. ოგანეზოვი, ს. სომხიევი, ა. იუხინი, ა. სარქისიანცი და ა. ყაზარიანცი 1 თვე ციხით.

✦ **ცნობილი ხაიმპერატორო** თეატრის სოლისტი მ. ა. ვოლფ-იზრაელი თბილისის ფილარმონიულ საზოგადოების სკოლამ მოიწვია 20 სექტემბრიდან ვიოლონის დაკვრის მასწავლებლად. სწავლის ფასი 100 მან.

**ქუთაისი.**

ქუთ. მაზ. ომში გამწვევ საკრებულომ მოწერილობები დაუგზავნა ყველა სოფლის მამასახლისებს წითელისა და ლურჯ ბილეთიანების მობილიზაციის შესახებ.

— ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობას ამ ჟამად თ-დი ა. გ. ლორთქიფანიძე ასრულებს.

# ნობათი

**რაბინდრანათ თაგორიდან**

## ნამგალა მთვარე

**ძილის მტაცებელი.**

ვინ მოსტაცა ბავშვის თვალებს ძილი? მინდა ვიცოდე!

მხარზე კოკა წარმოდგმული წყაროზე მიდიოდა მშობელი-დედა.

შუადღე იყო. ბავშვთა გართობის დრომ განვლო; აღარც იხვები ხმაურობდნენ ტბაზე.

მეცხვარეს ლელვის ჩრდილისთვის შეეფარებინა თავი.

მანგოს ჰალის ტბასთან უძრავად იდგა ყარყატა.

მოვიდა მტაცებელი; მოჰგლიჯა ძილი ბავშვის თვალებს და გაფრინდა.

როდესაც სახლში დაბრუნდა მშობელი, ნახა, რომ ოთხზე დაფოფხავდა მისი პატარა.

ვინ მოსტაცა ბავშვის თვალებს ძილი? მინდა ვიცოდე! ვიპოვნი და შევბორკავ ხუნდებით.

შავს ჯურღმულში მოვძებნი, სად ქვა-კლდეთა შორის ცივი ანკარა მოცქრიალებს.

ბაკულას ძილის მომგვრელ ჭალაში მოვძებნი მას, სად ღალღანი ლუღლუღებენ და ვარსკვლავებით მოვარაყებულ ცის სივრცეში ფერიათა სამაჯურნი წკრიალებენ.

ერთ თვალს გადავავლებ საღამოთი ჭალას, სად უნაყოფოთ ხარჯვენ სინათლეს ციცინათელანი, ყოველ არსს გამოვთხოვ:

„ვინ მეტყვის, სად ბინადრობს ძილის მტაცებელი?“

ვინ მოსტაცა ბავშვის თვალებს ძილი? მინდა ვიცოდე!

გაყურებინებთ იმის სეირს, თუ მოვასწარ სადმე?!

კუთხე-კუნჭულიანათ გავჩხრეკ მის ბუდეს და ვიპოვნი კი მოტაცებულ „ძილთ“.

და ყველას შინ მოვიტან.

ფრთებს შეუბორკავ, მდინარის პირად დავსვამ და შროშანასა და ლერწამთ შორის თევზის ჭერით გაერთოს.

და ოდეს ყველანი დაბრუნდებიან შინ და მუხლებზე ეჯდომილებათ მშობლებს სოფლის ბავშვები, აი სწორედ ამ დროს ჩასწივლებენ ღამის ფრთოსანნი:

„აბა, ახლა ვილას მოსტაცებ ძილს?“

**დ ა ს ა ბ ა მ ი.**

„სიდან მოვედი, სად მიპოვნე?“—ჰკითხა დედას ბავშვმა.

გულში ჩაიხუტა ბავშვი და გულამოსკვნილი სიცილით მიუგო:

„შვილო, სურვილის სახით იმალებოდი ჩემს გულში.

ჩემი ბავშობის ტიკინათა შორის იყავ; და, როდესაც ჩემი ღვთაების სახეს ჩამოვაქანდაკებდი თიხისაგან ყოველ დილას—გქმნიდი და გკპობდი იმავე დროს.

შენ ჩაქსოვილი იყავ ჩვენი ოჯახის მფარველ ღვთაების არსებაში და, ოდეს თაყვანსა ვცემდი მას, იმავე დროს გაღმერთებდი შენც.

ყველა ჩემს იმედებსა და სასოებაში, ყოველ ჩემს შეყვარებაში, ჩემის სიცოცხლესა და სიცოცხლეში ჩემი მშობლისა—სცოცხლობდი შენ.

საუკუნოების განმავლობაში გინანავებდნენ ჩვენი ოჯახის მფარველ და უკვდავი სულის მუხლებზე მიძინებულს.

როდესაც ქალწულობაში ვყვავდით იშლებოდა ჩემის გულის კუკური, იმჟამად შენ სურნელებასავით დაცოლობდი ზევიდან.

შენი სინაზე ვარდით იშლებოდა ჩემს არსებაში, ვით მზის ამოსვლის წინ განთიადის ნათელი ეფინება ზეცას.

ზეცის პირველი ძღვენი, განთიადის სინათლის მარჩბივი, მსოფლიოს ცხოვრების სრბოლასთან ერთად დასცურავდი და უკანასკნელად ჩემს გულში შეჩერდი და მოიპოვე ბინა.

საიდუმლოებას ვემორჩილები, როდესაც გიცქერ: ყველას კუთვნილი ჩემი შეიქენ.

მაგრად გიხუტებ გულში, რომ არავინ წამართვას შენი თავი. რა თილისმამ დამაპყრობინა ამ სუსტი ხელებით მთელი მსოფლიოს საუნჯე?“

გ. მუმლაძე.

(შემდეგი იქნება)

# რედაქტორის ჩივილი და გაზეთის ქურდები

ეს რაღა ჯანაბის ბრალია, რომ გაზეთს ამდენი ქურდები ჰყოლია? იპარავენ შინ, გარეთ, ფოშტაში, სოფლად და ქალაქად, ქუჩაში და ეზოში. მოდის და მოდის პროტესტის წერილები და რედაქტორს თავზე კაკალს ამტვრევენ.

— მე მთელის წლით გამოვიწერე, თქვენ ერთის თვითაც არ გამომიგზავნეთო, ერთს დღეს მივიღე, მეორე დღეს შემიწყვიტეთო, თქვენი გაზეთი თუ ყოველ თვიური გამოცემაა, ხალხი შეცდომაში რად შეგყავთო.

კაცი საყვედურს კიდევ აიტანდა, რომ უარესებიც არ იყოს!

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, რომ ბოროტმოქმედება სათავეშივე მომესპო. ერთი დავტუქსე, მეორე დავაჯარიმე, მესამე დავითხოვე, მეოთხეს უჩივლე, მეხუთე, მეექვსე და მეათე დავასაჩუქრე, მეთერთმეტეს მოვეფერე და მოუალერსე, რომ გაზეთები ყველასათვის ეგზავნათ, მაგრამ ვერაფერს გავხდი!

და დავრწმუნდი: თურმე არსებობს ქვეყნად ერთად ერთი ბოროტება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ამაო წვლის ნაყვა ყოფილა.

ეს ბოროტება გაზეთის ქურდობა გახლავთ!

თბილისში რომ საქმეს მოაწყობ და გგონია, ეხლა კი მკითხველი უეჭველად მიიღებს გაზეთსაო, ვნახოთ პროვინციაში გამოჩნდება ვინმე ფოშტის მოხელე, გახსნის სხვის გაზეთს, წაიკითხავს და კალათაში ჩააგდებს.

მკითხველი კი ელის და გული უწუხდება და თავის მოხლეჩვებულ ბოღმას რედაქტორზე იყრის.

გავიგებთ ამას, ფოშტის მოხელეს დავასჯევინებთ, მაგრამ ახლა სხვაგვარი ბოროტება იჩენს ხოლმე თავს.

„ეს გაზეთი ჩვენი მიმართულების არ არისო“, მოავლებენ ხელს და დახევენ.

და ამნაირად დღეს აქ ხდება, ხვალ იქ, ზეგ სხვაგან სადმე.

მკითხველი კი ელის და ელის!

რა ჰქნას კაცმა, რა წყალში ჩავარდეს, ყოველ გაზეთს თან კაცს ხომ ვერ გავაყოლებთ?

გარწმუნებთ, ყოველგვარ ბოროტებას შეიძლება ეშველოს რამე, თვით თბილისის სადგურზე გამძვინვარებულ ჯიბგირობასაც კი მოევლება, მაგრამ გაზეთის ქურდობა მოუსპობელი და გამოუსწორებელი რამ ბოროტება ყოფილა!

გარდანქეშან.

# წერილი დასავლ. ფრონტიდან

სამშობლო მხარეს მოწყვეტილნი რუსეთის დასავლეთის ფრონტზე მყოფნი ქართველები ჩვენი ქვეყნიდან ფოშტის მიღებას ყოველ-დღე ცის მანანასავით მოველით ხოლმე. მოთმინება აღარ გვყოფნის, სანამ მიღებულ წერილს ბოლომდე წავიკითხავდეთ. ჩვენ იქ გვსურს ამოვიკითხოთ, სხვათა შორის, საქართველოს ბედკრულ ცხოვრების ავანჩავანი, თუ რაფერ გმირულათ იტანს იგი მსოფლიო ომის გამო მის თავზე მოვლინებულ რისხვას და ნაცვლათ ყოველივე ამისა ხელთ გვრჩება ჩვენი კერძო, შინაური ამბები და მოკითხვა და ნახვის ნატვრა. რასაკვირველია, კერძო წერილებში ძნელია მთელი მხარის რთული ცხოვრების მკრთალი სურათის გადაცემაც კი და ამიტომ პირველი ენტუზიაზმი ბარათის მიღების დროს მისი წაკითხვის შემდეგ სრულიათ ნელდება, გრძნობ, რომ შენ წერილმა არ დაგაკმაყოფილა და კვლავ შემდეგ ფოშტის მოლოდინში რჩები. აქ ნაირათ ჩვენ საზოგადოებას მოწყვეტილი შევიქენით. თითქო მთკარე-

ზე ვცხოვრობდეთ, ჩვენამდე ვერ აღწევს ჩვენი ხალხის მდუღარე ცრემლების სიმწვავე.

რუსეთის საზოგადოებამ ამ მოვლენას დროზე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. რუსულ სატახტო გაზეთების ფურცლებზე არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდილა ამის შესახებ. ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ მომქმედი ჯარისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. მოაწყვეს კიდევაც პატარ-პატარა ბიბლიოთეკები და პოზიციებისკენ აფრინეს.

ჩვენი ქართველი ჯარისკაცები ამ შემთხვევაშიდაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოექცნენ. უმეტესი მათგანი ქართულსაც ძლივს კითხულობს და აპა, რუსული წერა-კითხვა საიდან ეცოდინება! ამიტომ მათთვის ეს ბიბლიოთეკები უცნობი ხილია.

ეს გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში ქართველმა საზოგადოებამ და თავის მამულიშვილთ არ უნდა აგრძნობინოს უცხო მხარეში დამამცირებელი სულიერი ობლობა.

თუ ამ საქმის ფართო ნიადაგზე დაყენება დღეს დღეობით შეუძლებელია, სამაგიეროთ, თითო-ოროლა ნაცნობი და მეგობარი ყველას მოეპოვება ჯარის კაცთა შორის და თვითოეული წაკითხულ გაზეთის ნომერი რომ ასეთ ნაცნობების და მეგობრების მისამართით გაიგზავნოს, ესეც დიდი საქმე იქნება. კმაყოფილი იქნება გამგზავნიც და მიმღებიც. ერთი და ორი დღით გაზეთის დაგვიანება არაფერს ნიშნავს, ყოველი ქართული გაზეთი ფრონტზე ახლათ ჩაითვლება, როგორ გვიანაც არ უნდა მოვიდეს.

ჯარისკაცი ე. მ—ძე.

P. S. უღრმეს მადლობას უძღვნი ჩემთან მყოფ ქართველ ჯარის კაცთა სახელით პატივცემულ მოძღვარს მღვდელს ქრისტეფორე ციცქიშვილს გაზ. „საქართველოს" ნომრების პერიოდულათ მოწოდებისათვის.

ე. მ—ძე.

## სოფლად

**ნ. არჯაკელა.—წინამძღვრიანთკარის სკოლა.—ერწო-თიანეთი.**

არჯაკელა ანუ წინამძღვრიანთ-კარი საგურამოს საზოგადოებას ეკუთვნის, ახალის შეჯგუფების მიხედვით 30 კომლი ითვლება, ნამდვილათ კი 45 კომლია; საგურამოს საზოგადოებაში ითვლება 667 კომლი და შედის 21 სოფელი.

სოფ. წინამძღვრიანთ-კარი—ამ სამეურნეო სკოლის გავლენით—კიდევ არა უშავს რა, მეურნეობის მხრივ წარმატებაშია, მაგრამ სკოლა კი ცუდ მდგომარეობაში ვნახე.

როდესაც სკოლის უფროს კლასების სადგომში შევედი, ხმორების ნეხვით და ცხვრის ცურცლით სავსე იყო, კარები და ფანჯრებიც ჩალეწილი დამხვდა. ეზო ეკლებითაა მოფენილი, თუმცა თლილი ქვით ნაშენი ეკლესია ამშვენებს. ვაზისა და ხილის ღობე საფუძვლიანად არ არის შეღობილი, ვისაც უნდა დასეირნობს და საქონელიც დაუპატიჟებელნი ეწვევიან ხოლმე ხეხილს, რომელსაც ტოტები ჩამომტვრეული ჰქონდათ.

საერთოდ ხეხილს მზრუნველი ხელი არ ეტყობა, ვაზი ნახევრად დაუმუშავებელია, სანერგეზედ კი არაფერი ითქმის. 140 მოწაფე სწავლობს, ზაფხულობითაც რომ უფროსი კლასების მოწაფენი მუშაობდნენ ბაღში, ისიც კმარა მის გასამშვენიერებლად, მხოლოდ პანსიონია საჭირო, რომელიც ადვილი მოსახერხებელია.

სკოლის გამგესა და მასწავლებლებს შორის უთანხმოება ჰსუფევს, ინტრიგებს და ჭორებს აჰყოლიან, მის მაგიერ რომ სკოლას უპატრონონ.

პატივცემულმა ბატონმა ილია წინამძღვარიშვილმა — დამაარსებელი ამ სკოლისა — თავისი სიყმაწვილე და მთელი თავისი შეძლება ამ სკოლას შეალია, ორი საფუძვლიანი შენობა სკოლისა ააშენა—ღირებული 20 ათას მანეთად და ეკლესიაც დაუჯდა 11 ათას მან. ამასთანავე სკოლის ფერმას, რაც შეღობილია, ეჭირება 10 დეს., გარდა ამისა სკოლას აქვს სახნავი და ტყე—70 დეს.

30 წელიწადია სკოლა არსებობს და ვინც მივიდა გამგედ თუ მასწავლებლად, ყველა გამდიდრდა, ილია და მისი სკოლა კი გაღარიბდა, არავინ დაინდო და არავის შესტკიოდა გული, ოღონდაც თავის სასარგებლოდ ხმარობდნენ სკოლის ბაღის შემოსავალს, თუ მოწაფეებს აკეთებინებდნენ ავეჯს თუ ნივთებს და სხვ.

სკოლის საზაფხულო ხილს ყიდულობდნენ, მაგრამ სკოლის გამგემ თავის დროზედ არ მიჰყიდა და ხელიდან გამოეცალა.

სკოლის ტყის ყარაულმაც ისარგებლა და გაზიდა სკოლის ტყიდან ხის მასალა ნება-დაურთველად.

ამ ზაფხულს სკოლის მარნიდან დაიკარგა 40 ვედრა ღვინო და ის ღვინო აღმოჩნდა ადგილობრივ დუქანში; როდესაც იყიდეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა, იცნეს, რომ ის სკოლის ღვინო იყო.

ამასთანავე სკოლას ჰქონდა 50 სკა სავსე. მხოლოდ სამი სკალა დავინახე.

სკოლა უპატრონოთ დავინახე, დაღუპვის გზისკენ მიექანება, პატივცემული ბატონი ილია წინამძღვარიშვილი კი არავინ გაიტანა, იგი მოხუცებაშია, ღონე აღარ შესწევს, რომ ისევ კვლავინდებურად სკოლა და მისი ფერმა არსებაში მოიყვანოს, თავად-აზნაურობა კი სკოლის სასარგებლოდ ყოველ-წლივ 5 ათას მანეთსა ხარჯავს, ისევ თუ კი ფულით შემწეობას აძლევს, პატრონობითაც მან უნდა უპატრონოს.

ერწო-თიანეთი. არჯაკელიდან ერწოსკენ გავემგზავრე. დუშეთისა და თიანეთის მაზრებს შუა მდებარეობს ერთ ტყეში. ამ ტყეში ძველი ნაშთია „სიონის—ციხე-საყდარი", სადაც სამ მოლოზონს და ერთ ბერს შეუფარებიათ თავი.

აქ ასაფლავია არჩილ-მეფე, მის საფლავს გადაფარებული აქვს დიბა-ფარჩის საფარებელი, ამ საფლავს მოლოზნები ჰპატრონობენ, მუდამ წირვა-ლოცვა დგას ამ ეკლესიაში და მეტი სისუფთავე მოსჩანს.

აქვეა შესანიშნავი მარანი თავის ქვევრებით, თაღი გადაყვანილია გუმბათივით, ოთხ-კუთხივ ტახტია ქვიტკირისა შემოვლებული, ერთ კუთხეში თაღარია, მეორე ნაწილში საწნახელია, საიდანაც მილით შეერთებულია თაღართან.

აქ, რადგანაც მაღლობია, ვაზი არ ხეირობს და, როგორც გადმოცემა ამბობს, საგურამოდან ყურძენს ეზიდებოდნენ და აქ სწურავდნენო.

ერწოს გადავხედეთ, ვაკე-დაცემული ადგილია, გარშემორტყმული ტყიანი მთებით, მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ გახსნილია და ჩამოუდის მდ. იორი.

მთელი ერწოს რაიონი, რომელშიაც შედის ნაწილი საყდრიონის საზოგადოებისა და ერწოს საზოგადოების რამდენიმე სოფლის გამონაკლისით მდებარეობს 3300 ფუტის სიმაღლეზედ, სივრცით შეიცავს ტყესა და სახნავს არა ნაკლებ 15,000 დესეტინას და ცხოვრობენ 1,200 კომლზედ ცოტა მეტი.

შორიდან რომ უცქერი სვიმონიანთხევს ან საყდრიონს, გეგონებათ, პატარა დაბაზეო, ისე ალამაზებს ამ სოფლებს ქვიტკირის შენობები წითელ კრამიტით გადახურული. სვიმონიანთხევში და საყდრიონში 320 კომლზედ მეტი ცხოვრობენ, ძველი ქართველი მოდგმის ჩამომავალნი არიან. რაც შეეხება სამხრეთის მხარეს მდებარე სოფლებს: ბალების-ხევი, კვერნაულა, კვირის-ხევი, ტოლათ-სოფელი, ტოხოლჩა და სხვ. ახლად დასახლებული ხევსურები არიან და თავიანთ თავს ხიზნებათ თვლიან.

თითქმის მთელი ერწოს რაიონის სოფლები გაშენებულია ქვიტკირის შენობებით და კრამიტით გადახურულია, ასე გასინჯეთ ფარდულებიც კი ქვიტკირის ბურჯებზეა კრამიტით გადახურული და სალეწი მოსავლისთვის ყველა კომლს უდგია, ვინიცობაა ჭირნახულის გალეწვას ვერ ასწრებენ, ამ ფარდულებში ინახვენ საგაზაფხულოდ. სადგომები ხომ ყველას კარგი უდგიათ ოთახებით, აივნებით.

მისდევენ ხვნა-თესვას, მოჰყავთ: პური, დიკა, ქერი, სიმინდი, ფეტვი და კართოფილი, ხეხილსაც აშენებენ საშინაოდ, ვაზი არ ხეირობს.

საქონლის მოშენებას მისდევენ, ისეთი კომლი არ მოიპოვება, რომ არ ჰყავდეს 20—30 სული საქონელი. ერწო ყველისა და ერბოს რაიონად ითვლება.

აქაურ სოფლებში ღარიბს ვერ შენიშნავთ, მთელი ხალხი, ხევსური, ფშაველი ღორის ხორცს არ სჭამენ— „ხატი გვიშლისო".

კერპი და შეუპოვარი ხალხია.

სამამასახლისოს იხდიან შეძლებისადა-გვარად, კომლზედ 5 მანეთამდის. ესე იგი ერწოს საზოგადოება, რომელშიც შედის 746 კომლი, ახალი შეჯგუფების მიხედვით, იხდის 3,730 მანეთს. ეს ამოდენა გადასახადი არ შეეფერება იმ გუბერნიის საკრებულოს გადაწყვეტილებას, ესე იგი თიანეთის მაზრის მომრიგებელ შუამავალს, მეორე რაიონის სოფლის საზოგადოების მოხელეების ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 1820 მან.

Legatus.

## სასოფლო-სამეურნეო აღწერა

(შორაპნის მაზრა)

სასოფლო-სამეურნეო აღწერას, რომელიც რუსეთის იმპერიაში პირველად მოჰხდა, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ერის ცხოვრებაში და კერძოდ კი ჩვენში. დაე სტატისტიკის ხმელმა ციფრებმა ნათლად დაგვანახვოს ჩვენი ერის აუტანელი გაჭირვება, რასაც დღეს განიცდის.

ქართველი გლეხ-კაცი, ყოველთვის უძლეველობდა თავის თავს, მხიარული, სალი, ცხოვრებაში ოპტიმისტი, ათას უბედურობას იტანდა. მაგრამ დაგვიდგა დრო, რომელთანაც ზურაბ ერისთავის ხანა არც კი ითქმება, დრო „სისხლის წვიმებისა", როცა რკინა სწყვეტს მრავალ ერთა ბედ-იღბალს. მთელი ქართველობა თოფ-ზარბაზნის ქვეშ დგას და მტკიცედ ასრულებს სამშობლოს და სახელმწიფოს წმინდა მოვალეობას. ომის მედგარი ქარტეხილი კი შეეჭრა ჩვენს მდორე ცხოვრებაში, შეატორტმანა და აალელვა. ცხოვრების სახე ძირიანად შეიცვალა, მაჯის ცემა შესწყდა. საქართველოს ნახევარი თითქმის დაუმუშავებელია, უპატრონო ვენახები, მიწები, ბაღები —საზარ სურათს წარმოადგენს, გადაათვალიერეთ დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკა და დაგეხატებათ თვალწინ სურათი— ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დაცემისა! აიღეთ მაგალ. შორაპნის მაზრა, რომელიც ასე თუ ისე ღონიერ კუთხედ ითვლება საქართველოში. მთელ მაზრაში არ შეგვხვედრია კომლი, რომელსაც დამუშავებული ორ ქცევაზე (2 დღიური) მეტი ჰქონიყოს, ხოლო ½ ქცევა და ¼ კი ღრავლის დოვლათს წარმოადგენს. შინაური საქონლის ხსენებაც თითქოს მოსპობილიაო; უღელი ხარიც იშვიათია, ათასში ერთს ცხვარი და ღორი—მორჩა და გათავდა! ცხენი კი აქეთ საზღაპრო ცხოველად გამხდარა. მცენარეულობაც არ არის საკმაოდ დათესილი, რომ გლეხს მდგომარეობა ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს, წინედ კი, სიმინდის გარდა მრავლად უთესიათ ბამბა და სხ. ამას ერთვება სიმშილი, რომელიც ასე მძინვარებს შორაპნის მაზრაში, სიძვირე, ბაყბაყ მდევივით რომ იზრდება და უძლეველი ხდება! დაუმატეთ ამასაც ისიც, რომ ცხოვრების სასტიკ პირობების საბრძოლველად ვაჟკაცის რკინის მარჯვენის მაგიერ, დღეს ქალის ნაზი და სუსტი ხელი ეგებება! და განა მარტო შორაპნის მაზრაა ასეთს მდგომარეობაში?—როგორც გადმოგვცემენ ამხანაგი ინსტრუქტორ-რეგისტრატორები, ყველგან ასეთ ჰაპან წყვეტას განიცდის ხალხი.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საქმით კი ცოტას ვაკეთებთ. სად არის ინტელიგენციის საქმიანობა? სოფელს ქალაქის ყურებაში ჩასთვლიმა. აქაც გაჩნდნენ პირადი ანგარიშებით გატაცებული ჯგუფები, დაიბადნენ საქართველოს შეურაცხმყოფელნი და უძღები შვილები! ჩვენ მაინც იმედი არ გვეკარგება, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა ისევ თვით დაიცავს თავის თავს და სასტიკ ბრძოლაში უნარს არ დაჰკარგავს!

შორაპ. მაზ. რეგისტრატორი
**გოგლა ლეონიძე.**

## ძველი ასოთ-ამწყობის შენიშვნის გამო

გაზ. „მეგობრის" 142 №-ში მოთავსებული იყო ცნობა, რომ გაზ. „სამშობლოს" გამოცემა, ასოთ ამწყობებთან უთანხმოების გამო, დროებით შეჩერდა. ამას ვიღაც **ძველი ასოთ-ამწყობი** თავისებურ ეპიტეტებით სავსე შენიშვნას უკეთებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხსენებულ ასოთ-ამწყობს არ სცოდნია ვის მოუვიდა უთანხმოება ასოთ-ამწყობებთან გაზ. რედაქტორს ი. ცინცაძე-ეკალაძეს თუ გამომცემელ ამხანაგობას. კარგა ხანია მის შემდეგ, რომ გაზ. „სამშობლოს" გამოცემა იკისრა ამხანაგობამ, მათ დაიქირავეს კანტორის გამგე და ამრიგათ ყოველივე გასავალ-შემოსავალი მათ ხელში გადავიდა და თვითონ ასოთ-ამწყობებთან მათ შეჰკრეს კანტრაქტი და თუ რაიმე უთანხმოება მოხდა მათ შორის ეს სრულებით არ ეხებოდა ბ-ნ ი. ცინცაძეს, რადგანაც ამხანაგობას ისიც ისე ჰყავს ჯამაგირზე, როგორც სხვა მოსამსახურეებიც. ახლა საკითხი ის არის, რამ ააშფოთა ეს ძველი ასოთ-ამწყობი? თურმე მას უთანხმოება ჰქონია წინათ ბ-ნ ი. ცინცაძესთან, როდესაც ის გაზეთის გამოცემას განაგებდა და ამით უხელმძღვანელებია, დრო უშოვია, რომ დაგუბებული გესლი გადმოენთხია. მაგრამ ამაზე არის ნათქვამი: „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო".

**გარეშე.**

## თეატრი

**ხ. გურჯაანი.** კვირას, 21 მარიამობისთვეს, ადგილობრივ და რკინის გზის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა სადგურ გურჯაანში მესხის ცნობილი ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი". სცენა ცის ქვეშ იყო დადგმული და ამინდიც ხელს უწყობდა.

ვინ არ იცის, რომ წიგნის შინაარსი მეტად კარგია და საგრძნობელი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმნაირი ძნელი პიესა, როგორიც არის „თამარ ბატონიშვილი", სცენის მოწყობილობა და ყოველგვარი დეკორაციები თვით ქალაქებშიაც კი უძნელდებათ ხოლმე და ჩვენ ახლად გაღვიძებულ სცენის მოყვარეთ კი უნდოდათ ერთბაშად მაღლა აფრენილიყვნენ. იქ, სადაც ფარდაც კი ვერ დაუმაგრებიათ და ძირს უვარდებოდათ, აიღეს და ამნაირი ძნელი პიესა დასდგეს და როდესაც თვით სცენის მოყვარენი ახლები არიან და ორჯერ-სამჯერ მეტად არ გამოსულან სცენაზედ, იმათ ანდობენ ამნაირ ძნელი როლების შესრულებას! თამარის მოთამაშეს (გურჯაანელი) მხოლოდ როლი გაეზეპირებინა და ამბობდა ისე ცივად, უბრალოდ, თითქოს თავის ამხანაგ ქალს ელაპარაკება და არა თავის საყვარელ შალვასაო. ვერც თუ შალვა იყო (ნასიძე) ნამდვილი შალვას კოპიო! როლის ასრულებაში მხოლოდ იქ გამოიჩინა სიცოცხლე, როდესაც თავისი ოცი წლის უნახავი, პატიმარი მამა ნახა. აქ კარგად აგრძნობინა ხალხს, ვისაც ესმოდა, მთელი ეს მამა-შვილური სიყვარული და ტანჯვა, რომელიც მამა-შვილმა გამოიარეს, ბევრმა ტირილიც კი დაიწყო. მაჩხაანელს არა უშავდა-რა, მაგრამ მხოლოდ პირველ მოქმედებაში, სადაც არღუთაშვილი (მარჯანიშვილი) გიორგი ბატონიშვილს აღიზიანებდა, ნამდვილი სომხური, გაიძვერა ენით ელიზბარის წინააღმდეგ. არა უჭირდათ-რა ქ-ნ ლოლაძეს (რუსუდანი) და ბ. ლოლაძეს ბატონიშვილის როლში.

მაინც და მაინც თუ არ დაუშლიათ და სდგამენ ამ ნაირ პიესებს, აუცილებლად საჭიროა წინ წაუმძღვარონ ხოლმე მოკლე განმარტება შინაარსისა, თორემ მეტი წილი უფრო სოფლელი ხალხია ხოლმე და იმათ უბრალო თამაშობა, მასხარაობა ჰგონიათ და არა სხვა რამე.

**ჩაქუჩი.**

## სპორტი

**(ფრანგული ჭიდაობა)**

მე-70 დღე ფრანგული ჭიდაობისა.

**ჭიდაობდა ოთხი წყვილი.**

გამოჩენილი და სახელ მოხვეჭილი, როგორც რუსეთში აგრეთვე საზღვარგარედ, დაუძლეველი ბუმბერაზი, დიდება და სიამაყე რუსეთის სპორტისა, „მსოფლიო ფალავანი" **ი. პოდუბნი**, დღეს პირველად შეხვდა „შავკანიან აპოლონს" ზანგს **ჩემბერს ციპსს.**

მოხდენილად მოჭიდავე **ციპსმა** ჭიდაობის დროს რამოდენიმეჯერ სცადა „tour de tête", მაგრამ ყოველთვის თვითონ დამარცხდა, ხოლო ფალავანთა პრემიერს და არწივს **პოდუბნის** ვერაფერი დააკლო. ორი საუკეთესო ძალის დაპირდაპირებამ ოცი წუთის განმავლობაში მიზანს ვერ მიაღწია.

**მეორე წყვილი.**

დღეს მეორედ გამოვიდა ნიღაბ აფარებული ფალავანი, ეგრედ წოდებული „შავი ნიღაბი", რომელმაც ამ დღეებში სძლია შვედელთა სპორტის „ამომ ვალი ვარსკვლავი" და ფალავანი **ცეიზიხი.** მოწინააღმდეგედ გამოდის ძველთა-ძველი ფალავანი ფრანგი **ჟან საბატიე.**

ფალავანი **შავი ნიღაბის** შესახებ ვიტყვით, რომ ის მეორე ხარისხოვანი მოჭიდავეა, კარგათ აქვს განვითარებული ტანი და ჭიდაობს ცოცხლად და მარდად, ემორჩილება ფრანგულ ჭიდაობის ყოველგვარ კანონებს. ყველა ამასთან საკმაო ღონეც უწყობს ხელს და სრულებით გასაკვირალი არ იყო მისი გამარჯვება.

ცამეტ წუთში „შავმა ნიღაბმა" წირვა გამოუყვანა ჟ. **საბატიეს.**

**მესამე წყვილი.**

რუსეთის გამოჩენილი ფალავანი, სპორტსმენი და ავიატორი ი. ზაიკინი დაეჭიდა **ვან-დერ-დეიკს.** ზაიკინის მოპირდაპირე ძლიერ წესიერად და ლამაზად ჭიდაობდა, მაგრამ მძლავრი მკლავების წინაშე მაინც ვერ დაიცვა თავი და მსხვერპლი შეიქნა **ზაიკინისა.**

**მეოთხე წყვილი.**

კარგად ცნობილი ბელგიელი ფალავანი და სპორტსმენი **ჟორჟ დაზე** შეხვდა **უიბოს.** იჭიდავეს მოხდენილად და კოხტად, ბევრი ნაირ-ნაირი ხერხები უჩვენეს მაყურებლებს. ბოლოს ჟ. დაზემ „taur de hanche"-ით დასცა **უიბო.**

**გენო.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | № 3, | 7 „ | 58 „ | სალ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**კომერციულ ცოდნათა**
კურსები
**ტ. მ. ფილოიანისა**
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—1)

მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23—25 ვერსის მანძილზე,
იყიდება 300 დესეტინამდე
**რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.**
იმავე მამულში ეძებენ
**მერძეობის, მეურნეობის მცოდნე მოიჯარეს,**
რომელსაც უნდა ჰყავდეს ასამდე მეწველი ძროხა.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—3)

გამოვიდა და იყიდება
**კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში**
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის მიერ.** ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მცოდნე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მიდიან, რომ „Новое Слово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".
(თ.—225—3)

სამგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყოვება უთვალავი სამგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
**„განათლება"-ში**
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
**ძმ. მეჭველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საფაბრიკო სახლ. „დ. მაილოვის-ზეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ასტრახანის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ორაგული, გარდა ამისა მიიღება ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.